345/2
1908

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი
ჟურნალი

№ V

მ ა ი ს ი

1908

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I სურათი. გავიმარჯვებთ! 2
II ბებერი ბატი, რუსულით 3
III ლიზეტა და არისტო 4
IV ყარყატოს თავგაწირვა—(თარგმანი) ტასოსი 5
V ბატონი სეგენის თხა (ალფონს დოდე) ფრანგულით ელ. წერეთელი 7
VI პირუტყვთა შემბრალებელი (ფრანგულით) ან. ამილახვრისა 17
VII მსაჯული და „მაწანწალა“ ინგლისური ამბავი. თარგმანი ან. წერეთლისა 20
VIII ტყუილს ტყუილი მოსდევს ფრანგულით ან. წერეთლისა 30
IX უნებლიეთი დანაშაული, დასასრული ეკ. კაბაშვილისა . 37
X ჯიუტი თხა. დასასრული ეკ. მესხისა 43
XI საბელმწიფო წყობილება ინგლისში ი. გომართელისა . 48
XII მანქანა მეფეა და შრომა—ფული (დასასრული შემდეგ) ს. ფ—სი 52
XIII ბუნების ლექსიკონი, შედგენილი ილია ალხაზიშვილის მიერ. 33

——— ჯეჯილის რედაქცია ———

უმორჩილესაა სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე მოაწოდონ ჟურნალს ხვედრი ფული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იხარდე, მწვანე ჯეჯილო
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ V

მაისი, 1908

წელიწადი მეცხრამეტე

თ ფ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.
1908

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„გავიმარჯვებთ“!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბებერი ბატი.

ამზარეულოში ერთი ბებერი ბატი კვერცხებზე იჯდა. ის უცბათ ავად გახდა, მაშინვე წამოდგა კვერცხებიდან, გავიდა ეზოში, მონახა ერთი ჯელი დედა-ბატი და მოიყვანა სამზარეულოში. ჯელი ბატი მაშინვე კვერცხებზე დაჯდა და ბებერი კი იქვე ახლოს მალე მოკვდა.

სჩანს ბებერმა ბატმა იგრძნო სიკვდილი და თავის კვერცხები სხვას ჩააბარა.

(რუსულით)

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიზეტა და არისტო.

ლიზეტამ უცაბედათ გაუტეხა თავის ძმას, არისტოს, სათამაშო.

გულმოსულმა არისტომ მუშტით საცემლათ გაიწია და დაუყვირა:

— დამაცა მე შენ...

ლიზეტამ ალერსით მიუგო:

— მე კი შენ გაკოცებ.

არისტო შედგა, სახემ გაუღიმა, თვალები გაუბრწყინდა და თქვა:

— მეც გაკოცებ შენ!

და არისტო გადაეხვია და აკოცა თავის დაიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეარეატოს თავ-გაწირვა.

ეა სოფელში, ერთ ხეზე ეარეატომ გაიკეთა ბუდე და სამი ბარტელი გამოჩეკა. ბარტლები მალე ისე გაიზარდენ, რომ ბუდიდან გადმოიცქირებოდენ და ხმაურობით უნისკარტამდენ ხეს. ამითი ხმას აწვდიდენ თავიანთ მშობლებს.

ერთხელ, შუა ზაფხულში, გახურებული მუშაობის დროს, სოფელში ცეცხლი გაჩნდა. ყველა გასული იყო მინდვრათ, მხოლოდ მოხუცებულები და ემაწვილები დარჩენილიყვნენ შინ. სანამ შეიტყობდენ, სანამ ხალხი მოვიდოდა ცეცხლი მთელ სოფელს მოედო. ქარისაგან ისე გაძლიერდა ალი და ნაპერწკლებს ისე ისროდა აქეთ-იქით, რომ ცეცხლმა მიახწია იმ ხემდის, რომელზედაც ეარეატოს ბუდე ჰქონდა. ბარტლებს დედ-მამა იმ დროს ბუდეში არ შე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესწრო და საბრალონი შეწუხებულნი გამოიეურებოდენ თავიანთ ბინიდან.

მალე გაჩნდა დედა-ეარეატო. დაინახა თუ არა ოავისი შვილები საფრთხეში, შევარდა ცეცხლში და გამოიეანა ერთი ბარტეი და ხალხის მოურიდებლათ დასვა მინდორზე. მერე მეორეთ შევარდა ცეცხლში და გადაარჩინა ახლა მეორე ბარტეი. როდესაც ეარეატო შევარდა მესამეჯერ ბარტეის გამოსაეანათ, უკან აღარ დაბრუნებულა, ახლა კი ცეცხლს ეეღარ გადარჩენოდა.

ტასო.

(ოარგმანი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბატონი სეგენის თხა

ალფონს დოდე.

(ფრანგულიდან)

ატონ სეგენს ბედი არ ჰქონდა თხების შენახვაში. ყველას ერთსა და იმავე ნაირათ ჰკარგავდა: ერთ მშვენიერ დილას ისინი სწყვეტდენ ოოკს და მთებში მიდიოდენ; მთებში მათ მგელი სჭამდა. ვერც მათი ბატონის მოფერება და სათუო, ვერც მგლის შიში, ვერაფერი ვერ აკავებდა მათ. რაღაც დამოუკიდებელი თხები იყვენ, თავისუფლება ყველაფერს ერჩიათ.

ბატონ სეგენს ვერ გაეგო თავისი თხების ხასიათი და მთლათ გაშტერებული იყო მათი ქცევით.

— რა უბედურებაა! იმეორებდა ის. თხებს სწყინდებათ ჩემსას, ვერც ერთს ვეღარ შევირჩენ!

მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავდა და ექვსი თხა რომ დაეღუბა,—მეშვიდე იყიდა. მხოლოთ ეს მეშვიდე სულ ახალგაზდა ამოარჩია, რომ უფრო ადვილათ შეჩვეოდა მისას ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჰ, ნეტავი გენახათ, რა ლამაზი იყო ბატონი სეგენის ჰატარა თხა! რა მშვენიერი, წუნარი თვალები ჰქონდა, ერთი ნამცეცა ქიცინა წვერი, შავი, გაკრიალებული ჩლიქები, კოხტა რქები და ისეთი გრძელი, თეთრი ბალანი, რომ ადამიანს ეგონებოდა, თეთრი მოსასურავი ასხიაო. ყველა ამასთან საუცხოო სასიათისაც იყო, მორჩილი, მოსიყვარულე; ჰატრონს თავს ისე აწველინებდა, რომ ადგილიდან არ იძვროდა, ერთსელაც არ მოშორდარიყო, რომ ქოთანში ფესი ჩაეკრას. საგანგებო, საგანგებო რამ იყო ეს ჰატარა თხა!

ბატონ სეგენს, თავისი სახლის უკან, ერთი მოზდილი ველი ჰქონდა, აუვავილებული ეკლნარით შემოღობილი. იქ დაბინავა თავისი ახალი მეგობარი. საუკეთესო ადგილი ამოურჩია, ჰატარა სვეტზე გრძელი, ძალიან გრძელი თოკით მიაბა და ხშირათ მიაკითხავდა ხოლმე, აბა, ხომ რაფერი აკლიაო.

თხა, როგორც ეტყობოდა, თავს ბედნიერათ გრძნობდა, და ისე გულიანათ სძოვდა ნორჩ მწვანე ბალახს, რომ ბატონი სეგენი აღტაცებული იყო.

— ძლივს! — ჰფიქრობდა საწყალი კაცი. — ძლივს არ ვიშოვე ისეთი თხა, რომელსაც ჩემსას არ მოსწეინდებაო.

ბატონი სეგენი სცდებოდა. მის თხას მოსწეინდა.

—

ერთ დილას მან დიდხანს, დიდხანს უყურა მთებს. .

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ძშვენიერებაა, უთუოთ, იქ, მაღლა!—წაიღაბარაკა ბოლოს; —რა სასიამოვნო უნდა იყოს იქ თავისუფლათ, უთოკოთ კუნტრუში! ასე დაბმული და დამწყვდეული ყოფნა ხარს თუ შეეფერება, ან ვირს, აბა რა თხის საკადრისია! თხებს თავისუფლება ეჭირვებათ!

ამ დღიდან დაწყებული ველის ბალახმა მისთვის ყოველივე გემო დაჰკარგა. მოსწყინდა ჰატარა თხას. გახდა, რძე თითქმის დაუშრა. აღარაფერი აღარ ახარებდა. მთელი დღეობით მთებისაკენ იწევდა, თოკს ეზიდებოდა და ნეშტოების ბერვით გულსაკლავათ „ძეეე“-ს გაიძახოდა. საცოდავი სანახავი იყო ჰატარა თეთრი თხა!

ბატონი სეგენი კარგათ ხედავდა, რომ მის თხას რაღაც ემართებოდა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რაში იყო საქმე. ერთ დილას, ის იყო, მისი წველა გაეთავებინა, რომ თხა მოუბრუნდა და თავის ენაზე უთხრა მას:

— ბატონო სეგენ, მეტათ ვიტანჯები აქ, გამიშვით მთებში!

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ესეც—წამოიძახა მწუხარებით სეგენმა და ქოთანი ხელიდან გავარდა. მერე ბალახზე დაეშვა და ამ სიტყვებით მიჰმართა თავის თხას:

— როგორ, თეთრუნა, გინდა მიმატოვო?

და თეთრუნამ უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჭო, ბატონო სეგენ.

— ბალახი გაკლია აქ, თუ?

— არა, ბატონო სეგენ.

— იქნება მოკლეთ სარ დაბმული? თოკს კიდევ დაგიგრძელებ, თუ გინდა!

— არ ღირს, ბატონო სეგენ.

— აბა რა გინდა, რა?

— მთებში წასვლა მინდა, ბატონო სეგენ.

— მერე, უბედურო, არ იცი, რომ მთებში მგელია? რას იზამ, როცა თავზე დაგეცემა?

— რქებით ვურჩოლებ, ბატონო სეგენ.

— სწორეთ რომ ძალიან ეშინია შენი რქების მგელს! შენ'ზე ბევრათ უფრო დიდ-რქიანი და ძლავრი თხები შემიჭამა მან! ხომ გახსოვს, საცოდავი მოხუცი რენოდი რომ იყო აქ შარშან? ისეთი ღონიერი იყო, და ავი, რომ არც ერთ ვერძს უკან არ ჩამოუვარდებოდა! ჭო და მთელი ღამე ებრძოლა ის მგელს... მაგრამ დილას მგელმა მაინც შეჭამა.

— უჰ! საწყალი რენოდი! მაგრამ მაინც გამიშვით მთებში, ბატონო სეგენ!

— ღმერთო მაღალო!—წამოიძახა ბატონმა სეგენმა.—რა ემართებათ ამ ჩემ თხებს? ამასაც მგელი შეიჭამს! მაგრამ არა! ძალით მაინც გადაგარჩენ, შესამაგელო! ვაი თუ შენც თოკი გასწყვიტო, სჯობს ბოსელში დაგამწყვდიო, აწი სულ იქ იქნები!—და ბატონმა სეგენმა თხა ბნელ ბოსელში შეიყვანა და კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები მაგრათ გამოუკეტა. საუბედუროთ, ფანჯარა კი დაავიწყდა; და, გამობრუნდა თუ არა, თეთრუნა შიგ გასტა და წავიდა.

—

ავიდა თუ არა ჰატარა თხა მთაზე, მაშინვე მთელი არე-მარე მოჭსიბლა თავისი სიკეკლუცით. სნიერ ნამვებს თავის დღეში ასეთი ლამაზი არა ენახათ რა. ეველა ისე მიეგება, როგორც ნამდვილ ჰატარა დედოფალს. წაბლის ხეები მიწამდის იხრებოდენ, რომ თავისი ტოტებით მოჭფერებოდენ მას, ეკალები მის მოახლოვებაზე იშლებოდენ და ცდილობდენ რაც შეიძლება მეტი სუნნელება გამოეცათ. მთელმა მთამ აღტაცებით მიიღო.

რა ბედნიერი იყო ჰატარა თეთრი თხა? აღარც სვეტი, აღარც თოკი. არაფერი აღარ უშლიდა მხიარულათ კუნტრუშს, ბალახის მადიანათ ძოვას. . მერე რა უხვათ იყო ბალახი იქ, მთაში! ეელამდის კი არა, რქებამდის, სწორეთ რომ რქებამდის! და მერე რა ბალახი! ნორჩი და გემრიელი, არშიასავით ნაზი და ლამაზი, ათასნაირი სხვა და სხვა მცენარეებისაგან შემდგარი. აბა, ბატონი სეგენის ველის ბალახს კი არ ჭკავდა! ეკალები? ეკალებს აღარ იკითხავთ? საკვსე იყო, საკვსე იქაურობა მშვენიერი გარეული ეკალებით. ზოგი ცისფერ ზარებს ჭკავდა, ზოგს ფართეთ გადაეშალა დიდრონი წითელი ფოთლები.—და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეველა, ეველა თავბრუ დამსხმელი, დამთრობი წვენით იეო დაქღენთილი...

თითქმის დამთვრალი თეთრი თხა ცელქათ კოტრიალობდა ეკავილებსა და ბალახებში, მერე რომელიმე ჰატარა გორაკის წვეროდან ძირს მოსრიალობდა, მერე, მთლათ წაბლის ჩენჩოებში ამოსვრილი უეცრათ ფეხზე წამოხტებოდა და ჭოპ! თავ-ჩაღუნული მიჭქროდა სადღაც, ჰირდაჰირ, სულ ჰირდაჰირ, ჩირგვებისა და ეკლების დაურიდებლათ. ხან კლდის მწვერვალზე იეო, ხან ხეივნის ძირში, მაღლა, დაბლა, ზევით, ქვევით, ეველგან ერთსა და იმავე დროს. ადამიანს ეგონებოდა, ერთი კი არა, ათი თეთრი თხაა ბატონი სეგენის მთებშიო.

—

არაფრის არ ეშინოდა ჰატარა თეთრუნას. ერთი მარდი ნახტომით ის უშიშრათ თავზე ეკლებოდა დიდ ჩანჩქარებს, რომლებიც მხოლოთ ქაფს ასხაჰდენ და ასველებდენ; მერე, მთლათ გაწუწული, რომელიმე ჰრტყელ კლდეზე იშხლართებოდა და მზეზე შრებოდა. შემთხვევით ერთხელ, გემრიელი ეკავილით ჰირში, ერთი მაღალი კლდის ნაჰირიდან იქ, დაბლა, სულ დაბლა, მთის ძირში, ბატონი სეგენის სახლს თვალი მოჭკრა. სახლს უკან ჰატარა ველი მოჩანდა, ეკლნარით შემოღობილი. მის დანახვაზე იმდენი იცინა, რომ თვალები სულ ცრემლებით აევსო.

— რა ჰატარაა! — იმეორებდა ის. — როგორ ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეოდი ნეტავი იქ?—საცოდავი! ასე მაღლა რომ იყო, თავისი თავი, სულ ცოტა, ქვეყნისოდენათ ეჩვენებოდა!

—

მშვენიერი დღე იყო ეს დღე ბატონი სეგენის თხისათვის... მაგრამ უეცრათ გრილმა ნიავმა დაჭბერა. მთებს მოლურჯო ფერი გადაეკრათ. საღამო დადგა.

— კიდევაც!—გაკვირვებით წამოიძახა ჰატარა თხამ და ერთ ადგილას შეჩერდა.

იქ, ქვევით, მინდვრები და ეანები მთლათ მოცული იყო სიბნელით. ბატონი სეგენის ველიც თანდათან ჭქრებოდა ნისლში, მისი სახლიც აღარ სჩანდა, მხოლოთ სახურავს თუ გაარჩევდით კიდევ და ცოტა კვამლს, რომელიც ბუხრიდან ამოდიოდა. შორიდან მოისმა შინისაკენ მიმავალი ჯოგის ზარების რაწკუნი. თეთრუნამ მას ყური დაუგდო და იგრძნო, რომ გულში რაღაც მწუსარება ეპარებოდა... ერთი დიდი ფრინველი თავის ბუდისაკენ მიეშურებოდა, მან უცაბედათ ფრთა წამოჭკრა... თეთრუნას ტანში გააჟრჟოლა...

ამ დროს საზარელი ღმუილი გაისმა:

— უუ! უუ! უუუ!

მგელი მოაგონდა. მთელი დღის განმავლობაში გიჟმაჟს მასზე ერთხელაც არ ეფიქრნა...

ამავე დროს ბუკის ხმაც მოესმა, შორიდან. ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან შორიდან, ხეობიდან. კეთილი ბატონი სეგენი თავის თხას სახლისაკენ ეპატიჟებოდა უკანასკნელათ.

— უუ! უუ! უუუ!—ღმუოდა მგელი.

— დაბრუნდი! დაბრუნდი!—იძახოდა ბუკი.

თეთრუნას დაბრუნების სურვილი აეძრა გულში, მაგრამ მოაგონდა სვეტი, თოკი, ეკლნარი ჰატარა ველის გარშემო—და იგრძნო, რომ აწი სულ აღარ შეეძლო ამნაირ ცხოვრებას შეჩვეოდა. სჯობდა დარ-ჩენილიყო.

ბუკის ხმა მისწყდა...

თეთრუნას უკან ფოთლებმა გაიშრიალეს. მან მოი-ხედა და დაინახა სიბნელეში ორი მოკლე ყური, სწო-რათ აცქვეტილი და ორი თვალი, რომლებიც ნაპერ-წკლებსავით ბრწყინავდენ.

ეს იყო მგელი.

—

ვეებერთელა, ის უძრავათ იჯდა ჰატარა თეთრი თხის სიახლოვეს, მისჩერებოდა მას და თითქო წინ-დაწინვე სტკბებოდა მისი გემოთი. კარგათ იცოდა, რომ უსათუოთ შესჭამდა, ამიტომ არა ჩქარობდა; მხოლოთ, როცა თხა მობრუნდა, ერთი ავგულათ გა-დიხარხარა:

— ჰა, ჰა, ჰა! ბატონი სეგენის ჰატარა თხა!—და მადიანათ ტუჩები გაილოკა სქელი წითელი ენით.

თეთრუნამ იგრძნო, რომ დაღუპული იყო. მოა-გონდა მოხუცი რენოდი, რომელმაც მთელი ღამეიბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმოლა და დილას მაინც შეჯმული იქმნა, და ერთ წამს გულში გაივლო, არ სჯობს ახლავე დავნებდე, ბარემ ახლავე შემჯამოსო; მაგრამ მალე შეიცვალა აზრი და საბრძოლველათ მოემზადა; თავი ძირს დახარა და რქები წინ წამოსწია, სწორეთ ისე, როგორც შეეფერებოდა იმისთანა გულად ჰატარა თხას. იმიტომ კი არა, რომ მგლის მოკვლის იმედი ჰქონდა,—არასოდეს არ მომხდარა, რომ თხას მგელი მოეკლას,—არამედ იმიტომ, რომ ეშინჯა, გაუძლებდა თუ არა ისიც იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც მოხუცმა რენოდმა გაუძლო...

საშინელი მხეცი წინ წამოიწია, და ჰატარა რქები დატრიალდენ. ოჰ, გულადი ჰაწაწინა თხა, ნეტავი გენახათ, რა ეოჩაღათ იბრძოდა! ათჯერ, გეფიცებით, არ ვსტეული, ათჯერ მაინც აიძულა მგელი უკან დაეხია და სული ამოეთქვა; ამ თითო წამის შესვენების დროს ის საჩქაროთ სწიწკნიდა ერთ ორ ღერს თავისი საყვარელი ბალახისას, მერე, სავსე ჰირით, ისევ ბრძოლას უბრუნდებოდა...

ბრძოლამ მთელი ღამე გასტანა. დრო-გამოშვებით ბატონი სეგენის ჰატარა თხა თვალს შეავლებდა ხოლმე ნათელ ცაში მოკაშკაშე ვარსკვლავებს და გულში ამბობდა:

— ოჰ, დილის რიჟრაჟამდის გავტანდე, მეტი არა მინდა რაო!

ერთი მეორეზე ვარსკვლავები ჩაჰქრენ. თეთრუნამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიდევ უფრო მარდად დაატრიალა თავისი ჰატარა რქები, მგელმა კიდე უფრო აილესა თავისი ბასრი კბილები... ცის კიდეზე მკრთალმა ნათელმა ამოაშუქა... დაბლა, ველიდან, მამლის ხრინწიანი ყივილი მოისმა...

— ძლივს!—წამოიძახა საწყალმა ჰატარა ცხოველმა, რომელიც მხოლოთ დილას ელოდა, რომ მოკვდარიყო, და გაწვა მიწაზე... თეთრი ბალანი, რომელიც ლამაზ მოსახურავს წააგავდა, მთლათ ამოსვრილი ჰქონდა სისხლში ..

მაშინ მგელი მივარდა ჰატარა თხას და შეჭამა ის.

ელ. წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირუტყვთა შემგრალებელი

პრეზიდენტი როზველტი*).

ფრანგულით.

ველას გაგონილი აქვს, რომ ამერიკის პრეზიდენტი როზველტი, პატიოსნებით ასრულებს თავის თანამდებობას, გულმოდგინეთ იცავს სიმართლეს, და რა რიგი მზრუნველია ეოველივე დავრდომილის და სუსტისა. მას დიდის პატივით მაღლა უჭირავს თავის ქვეყნის ოქროს ვარსკვლოვანი დროშა. ეს კაცი საერთოთ პატივცემულია და საუვარელი. ამასთანავე მისი მახლობლები მოგვითხრობენ რა მზრუნველი და მოუვარული მამაა თავის შვილებისა, რა გულმოდგინეთ ადევნებს თვალეურს თავის ქალის, ალისას, მოგზაურობას და საზოგადოებისგან აღტაცებულ მის მიღებას, როგორ ეურს უგდებს თავის უფროს ვაჟების აღზრდა-განათლებას და აგრეთვე როგორ იღებს მონაწილეობას თავის უნცროსი ვაჟების გართობა-თამაშობაში.

---

*) ამერიკა თავის ქვეყნის გასაძღოლათ და უფროსათ ირჩევს პრეზიდენტს, რომელსაც ეკითხება ქვეყნის ყველა საქმეები.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა უნდა გაგაცნოთ სხვა კაი თვისებები პრეზიდენტისა, ის თუმცა მაღალი ხარისხისა და უფლებებისაა, მაინც არ თაკილობს და აქცევს ეურადღებას ეოველ დაბალ ღვთის ქმნილებას, და უწვდის მათაც დამხმარე ხელსა. დიდი სანი არ არის, რაც მოხდა შემდეგი ამბავი და აი ამას მოგითხრობთ თქვენც, პატარა მკითხველნო. პრეზიდენტი როზველტი ბედნიერია მით, რომ როგორც ეოველივე ამერიკელი, შეუძლიან მარტოთ-მარტო, თავისუფლათ, იარონს და არა მცველებით, როგორც სხვანი მის ხარისხში მეოფნი. ქუჩებში მოსეირნე მას ეველა ღიმილით და მეგობრულათ ამლევს სალამს. ერთხელ, სეირნობის დროს, ერთ ქუჩის შესახვევში დაინახა პაწია შავი კატა, რომელსაც აედევნენ ორი დიდრონი ძაღლი, საბრალო არსება, ეტეობოდა ამ მდევნელებს წეალშიც ჩაეგდოთ, რადგანაც მთლათ გაწუწილი და ლაფში ამოთხაპნული იეო. პრეზიდენტი არ შედრკა, მან ქოლგით დაუწეო მოგერება ძაღლებს, რომელნიც უზრდელათ მის მაღალპიროვნებასთან ჭეეფდნენ და ჭგლეჯდნენ მის ქოლგას, მაგრამ ბოლოს კი დამარცხებულნი, კუდ ამოძეებულნი მოშორდნენ უშიშარ კაცს. საბრალო კატა კი ამძვრალი ფოსტის ეუთზე გულსაკლავათ კნაოდა და ამითი აღუძრა სიბრალული გულში ამ კეთილ კაცს. როზველტი მიუხვდა ციცუნია მინეტას საჩივარს, მიუახლოვდა, გადუსვა ხელი და შეეკითხა იქვე მდგომ რამდენიმე მაეურებელს, ხომ არ ჭეავდა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატას პატრონი და რა გაიგო მისი ობლობა, აიყვანა, ჩაისვა ჯიბეში და გაემგზავრა თავის სასახლისკენ.

ამ დროს მოაგონდა, რომ მის შვილებს სათითაოთ ჰყავდათ კატები და ვინ იცის როგორ მიიღებდნენ ამ საბრალოს ის განებივრებულნი, იქნება სიცოცხლეც დაამწარონ ამ პრეზიდენტისგან გადარჩენილ არსებას. როზველტმა იგრძნო რა საფრთხეც მოელოდა კატას და წუნარის ნაბიჯით მიუახლოვდა ერთ მოხუც ზანგის დედაკაცს, რომელიც იდგა თავის კარის წინ.

— დედი, მიუბრუნდა მას ღიმილით პრეზიდენტი, — თუ ჩემი სიყვარული გაქვთ შეინახეთ ეს პატარა ცხოველი.

— ოხ, დიდი სიამოვნებით, უფალო როზველტ, მიუგო კეთილმა მოხუცმა და მიიკრა გულზე საბრალო ციცუნია, რომელიც მისთვის მას აქეთ შეიქმნა მკურნალის განმათ.

აბა რას იტყვით, ჩემო მკითხველნო, ამ მარტივ და ლმობიერ საქციელზე? ეს გვაძლევს, რომ ნამდვილი სიკეთე და სიბრალული უნდა გასწვდეს უმცირეს ღვთის ქმნილებაზედაც.

ანასტასია ამილახვრისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსაჯული და „მაწანწალა“

(ინგლისური ამბავი)

პატარა თომა ვაჭრობდა სილით ერთ ქუჩის შესახვევში, სადაც მუდამ ქარი ჰქროდა. ზაფხულში არა უჭირდა რა, სასიამოვნოც იყო, როდესაც მდინარიდან გრილი ნიავი დაჰბერავდა, მაგრამ ზამთარში კი თომა სწორეთ შესაბრალისი იყო, ხელები სიცივით გაუწითლდებოდა და ცხვირი სასტიკი ქარისაგან გაულურჯდებოდა.

მაშინ თომა დაიწყებდა ხელების გათბობას მაყალზე, რომელზედაც წაბლს ხალავდა, მიეკვრებოდა იმას და სიამოვნობდა იმითი, რომ ცოტათი მაინც საიდანმე სითბო ეკარებოდა.

როდესაც დიდი სიცივე დადგებოდა, თომა აფარებდა რასმეს სილით ხონჩას. მედუქნე, რომელსაც ეკუთვნოდა სილიც და ხონჩაც დილაობით რამდენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერმე მოვიდოდა დასახედათ, რომ ხილი არ გაჭეი-
ნოდა და თვითონ თომას გაეინვაზე არა ენაღვლებო-
და რა. მედუქნე თომას იმდენს უჯავრდებოდა და ეჩ-
ხუბებოდა, რომ გულმოსული ბავში ბრაზდებოდა. მე-
რე მედუქნე მთელი დღით მიატოვებდა ბავშ'ს. ღამე,
ვაჭრობის გათავების დროს ხილის ჰატრონი ერთი
კიდევ მოვიდოდა დასახედათ, აალაგებინებდა სავაჭროს
და თომას გაისტუმრებდა დასაძინებლათ ბინაზე, იქ ბავშს
ცოტაოდენს აჭმევდენ და მერე საბრალო მიეგდებოდა
თვალის მოსასუჭათ.

ძნელი ასატანი იქნებოდა თომასთვის ამისთანა
ცხოვრება, რომ არა ჰყოლოდა იმას ერთი გულითა-
დი მეგობარი—ჰატარა ძაღლი, რომელსაც დაარქვა
სახელათ „მაწანწალა". ბავშმა იმიტომ უწოდა ეს
სახელი, რომ ძაღლი მუდამ წანწალში იყო, არა
მცემონო, ან არ ჩავარდე იმათ ხელში, ვინც ქუჩებში
იჭერს უჰატრონოთ ხეტიალა ძაღლებს. თვითონ „მა-
წანწალაც" შეეჩვია თავის უბედობას და დაინახავდა
თუ არა ან მედუქნეს, ან სხვა საშიშ ვისმეს ერთ
წამს მოიკუნტებოდა და ისე გაეხვეოდა იმ ტომარა-
ში, რომელიც ეგდო ხოლმე ძაღლა დადგმულ ხონ-
ჩის ქვეშ, რომ ვერავინ ვერაფერს შეამჩნევდა.

ამ ქუჩის სქელი ჰოლიციელი კარგათ ხედავდა
„მაწანწალას", რომელსაც უფლება არ ჰქონდა კა-
ნონიერათ ეცხოვრა, მაგრამ უურადღებას არ აქცევდა.
ამავე ქუჩის ჰატარა სასტუმროს ჰატრონი ზოგჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუძახებდა თომას და მისცემდა ცხელ ნოეიერ წვენს და ორ ჰატარა ნაჭერ ჰურს ამ ორ მეგობრებს. თომა კმაყოფილი იყო ამგვარი მოწყალებით, ითმენდა მედუქნის სიავეს და თავს ბედნიერათაც სთვლიდა, როდესაც ღამე ჩაესეჭტებოდა თავის „მაწანწალას“.

ქუჩაში მოხეტიალე ძაღლების დამჭერნი ფხიზლათ იყვენ და მიაგნეს „მაწანწალას“. ერთხელ დილით სიცივეში მათ გაიარეს თომას ქუჩაზე გამზადებული ბადით, რომლითაც იმწყვდევდენ ძაღლებს. მაგრამ მაწანწალამ მოასწრო დამალვა. გაიგო თუ არა უკვე დამწყვდეული ძაღლების წკმუტუნი და ჭყვირილი ისე მარდათ გაეხვია ტომარაში, რომ თვალი ვერ შეასწრეს. როდესაც საშიში ხალხი გასცილდა ქუ'ას, თომამ დაუსვინა, ერთ წამს ტომარა შეინძრა, იქიდან გამოვარდა ბანჯღვლიანი მაწანწალა და მხიარული ყეფით ბეღურებს გამოუდგა.

ამ დროს გამოჩნდა მსაჯულის ეტლი. მსაჯულმა უკმესათ შესედა ამ ჰატარა ძაღლს, რომელიც ცხენებს ფეხებში ებლანდებოდა და თავის მეეტლეს უთხრა:

— სედავ, ჯონსონ, განა საზოგადოება მოვალე არ არი რომ ეური უგდოს ამისთანა ქუჩაში მოხეტიალე ძაღლებს? კარ ჯიშის ძაღლი, მაგალითად, როგორც ჩემი ცეზარი სასიამოვნოა ჰყავდეს კაცს, მაგრამ მაგისთანების შენახვა კი რა მოგახსენო! და მსაჯული მიეალერსა თავის ძაღლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართალს ბრძანებთ, დაეთანხმა მეეტლე ზანგი. მან შეაუენა ეტლი და ჩამოვიდა ძირს —აი, კაი ფორთოხლები, ბატონო, რამდენს მიბრძანებთ რომ ავიღო, თორმეტი?

— თორმეტი, უპასუხა მსაჯულმა

ცეზარი დაძშვიდებული იჯდა ეტლში თავის პატრონის პირდაპირ. ამათ ულაპარაკოთაც საუცხოოთ გაეგებოდათ ერთმანერთისა. ძაღლი კაი ჯიშისა იყო, ბატონი კაი გულისა. ორივენი მეტის-მეტათ ზრდილობიანი იყვენ. თუმცა მსაჯული იშვიათათ ეალერსებოდა ცეზარს, მაგრამ ცეზარისავით ერთგული მას არავინა ჰყავდა.

თომამ ფორთოხლებს დაუწყო გადათვლა. იმას ძალიან უკვირდა, რომ ამისთანა სიცივეში ყიდულობენ ამოდენა ხილს. ან ამისთანა მორთული ბატონი რატომ მოვიდა მასთან ფორთოხლების საყიდლათ, როდესაც იმოდენი მშვენიერი დიდი მაღაზიებია ხილისა. არ ემჯობინებოდა რომ სასტუმროში ეყიდა ცხელცხელი ქადები, ხომ ის ათასჯერ უფრო კარგი იქნებოდა. აბა, ამას რომ ჰქონოდა ფული—ერთბაშათ ერთი ათს ქადას იყიდდა და მერე... მერე თვითონ და მისი „მაწანწალა“ გემრიელათ გამოძღებოდენ.

ერთ წამს ხელმეორეთ გამოჩნდენ მოსეტიალე ძაღლების დამჭერნი. იმათ შემჩნეული ჰყავდათ „მაწანწალა“ და მის დასაჭერათ შესაფერ დროს უცდიდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახია მაგაზე, თქვა მსაჯულმა, როცა თვალი მოჰკრა, როგორ გადუგდეს ბადე მაწანწალას დასაჭერათ.

თომას ხელიდან გაუვარდა შეხვეული ფორთოხლები და ორივე ხელი გაუწვდინა ძაღლს. მაგრამ ძაღლების დამჭერი კაცი გამოუდგა „მაწანწალას“ და მოუსწრო სწორეთ იმ დროს, როდესაც ძაღლს უნდოდა ტომრის ქვეშ დამალულიყო. ამ დროს ერთბაშათ ეტლიდან გადმოხტა ცეზარი, თუმცა მსაჯული ცდილობდა მის შეკავებას და ამოუდგა გვერდით გამოსასარჩლებლათ საბრალო მოკრუნჩხულ და აკანკალებულ „მაწანწალას“. საომრათ გამზადებულმა ამან თავისი ამაყი დიდი თავი მაღლა ასწია, მრისხანეთ დააკრაჭუნა თეთრი კბილები და ისე სასტიკათ გადასედა ძაღლის დამჭერს, თითქოს ეუბნებოდა: აბა გაბედეთ და მახელით ხელი მე, რომელსაც ვერცხლის საყელოზე ნიშანი მაქვს თავისუფალი და ჩელ შეუხებელი ცხოვრებისა.

ძაღლის დამჭერი შედგა.

— მომაშორეთ თქვენი ძაღლი, ბატონო, უთხრა ამან ზრდილობიანათ და ამასთანავე დაჟინებით მსაჯულს.

— ოო! შეჰკივირა მსაჯულმა, აღელვებით.

ამ ქუჩის სქელი ჰოლიციელიც საჩქაროთ მოვიდა. ძაუურებლები თანდათან გროვდებოდენ.

— მშვენიერი ძალლი გეოლიათ, ბატონო მსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯულო, თქვა პოლიციელმა, მაგას ვერც არავინ ახლებს ხელს, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა დაუმახოთ.

— ცეზარ, წამო ჩემთან! უნებურათ უბრძანა მსაჯულმა.

ცეზარმა თავისი ამაყი თავი ძირს დაუშვა, ერთი კიდევ გადახედა აცახცახებულს საბრალო ძაღლს, მერე შეხედა თავის პატრონს და რა ნახა მის სახეზე შეურეველი ბრძანება, დაუშვა ძირს ყურები, წამოვიდა და ეტლში ჩახტა, როგორც დამარცხებული.

კაცებმა ბადეში მოიგდეს წკავ-წკავი მაწანწალა. თომამ იცოდა, რომ ვეღარას გააწყობდა, კანონს ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას, — გაბრუებული, დაფანტული ბედს დაემორჩილა და ხელ-ახლათ ჩააწყო ფორთოხლები პარკში.

სქელი პოლიციელი მიუასლოვდა ეტლს.

— უბედური ბიჭი! თქვა მან, — ეგ ძაღლი მაგის ერთად-ერთი ნუგეში იყო.

მსაჯულმა წაიხრანტალა: „სწორეთ მაწანწალა ძაღლია! დაიწყო მან, მაგრამ ხმა ჩაუწყდა. ცეზარმა შეატყო რომ მისი პატრონი მოლბა, შეხედა მას ალერსით, თითქოს რაღასაც ემუდარებოდა და თავი მუხლებზე დაუდო.

„რა შეგვიძლია, არაფერი!“ დაფიქრებული ამბობდა მსაჯული და თან თვალი გააყოლა, როგორ მიჰყავდათ ეს პატარა ძაღლი. „მაგრამ განა არ შეიძლება წავიდეს კაცი იმათ ბინაზე, სადაც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძალლები ჰყავთ და „მაწანწალას“ გადასახადი ფული შეიტანოს?..

— ჰუ! თქვა ხმა მაღლა მსაჯულმა წარბების შეჭმუხვნით.— სადილობის დროა.

ჯონსონი ფორთოხლებით ავიდა კოფოზე და გარეკა ცხენები.

სქელი პოლიციელი ცდილობდა ნუგეში ეცა თომასთვის, სასტუმროდან მოუტაინა საჭმელი, მაგრამ უმაწვილს არაფერი არ მოსდიოდა თვალში.

თომას მხოლოთ ერთი აზრი უტრიალებდა თავში: რა დავიშავე, რათ წამართვეს ჩემი „მაწანწალა“ სომ ვეღარა ვნახავ ჩემ ბანჯღვლიანს, ეგითელ ძალიას. შეწუხებული ეურადღებას არ აქცევდა თავის ხონჩას. ფიქრობდა კიდეც სადმე გადაკარგვას.

საღამო ჟამს მოვიდა ხონჩის პატრონი მედუქნე და დაუწეო თომას ჩხუბი, ეგირილი და ბოლოს ცემაც, მაგრამ სქელი პოლიციელი გამოესარჩლა ბავშს და თქვა: „დაანებე თავი მაგ უმაწვილს, არ შეგარჩენ მაგის ცემას“.

მთელი ღამე საბრალო უმაწვილს ძილი არ მიჰკარებია, სულ ტიროდა. ერთ წამს თუ ჩაიძინებდა, მაშინვე ესიზმრებოდა რომ მისი საყვარელი „მაწანწალა“ დაბრუნდა და თვალებს დააჭყეტდა, მაგრამ ძაღლი არსად იყო. ბავში სულ იმას ფიქრობდა, ვინ იცის, მაწანწალა ახლა რა ხიფათშია და გადმოსდიოდა ცხარე ცრემლები. დეე, მაწანწალა სხვის თვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძ. მახინჯი იყოს, ამას რა ენაღვლება, ამას უყვარს ეს ჰატარა ობილი არსება და სხვა არაფერი მოსდის თვალში. — ვინა მეავს ქვეყანაზე მაგაზე მეტი, მწარეთ კვნესოდა თომა — იქნება დღეს მოჰკლეს კიდეც და აბა რა დააძინებდა საწყალს.

მაგრამ დილით თომა თავჩაღუნული ისევ მოუჯდა თავის ხონჩას. შუადღისას, ნაღვლიანს და გამწარებულ ბიჭს მოესმა უცბათ ცხენების ფეხის ხმა და მას წარმოუდგა თვალწინ შემდეგი.

ბეწვიან თულუფში გახვეული მსაჯული გამოჩნდა ეტლით. მას ფეხებთან უჯდა ყელ მოღერებული ცეზარი, რომელსაც სიხარულით თვალები უბრწყინავდა.

ეტლის კუთხეში კიდევ რაღაც მოჩანდა! ჰატარა, ყვითელი, ბანჯღვლიანი! თომამ გაკვირვებით დააღო პირი, მაგრამ დაუვირება ვეღარ მოასწრო. ეტლი ჯერ არ შემდგარიყო, რომ ჰატარა, ყვითელი, ბანჯღვლიანი არსება შურდულივით ეცა თომას.

ეს „მაწანწალა“ გახლდათ, ნამდვილათ „მაწანწალა“ იყო.

ყელზე ვერცხლის საყელო ჰქონდა, სწორეთ ისეთივე, როგორიც ება ყელზე თვითონ ამაე ცეზარს, სოლო იმაზე ცოტა ჰატარა იყო, საყელოზე ება ის ძვირფასი ნიშანი, რომლის წყალობით ამას იქით მაწანწალას შეეძლო თავისუფლათ, დაუმალავათ ცხოვრება.

მსაჯულს სახე უბრწყინავდა, როდესაც მოჰყვა ამბის თხრობას, მაგრამ ძნელათ თუ ვინმე გაიგებდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისე მხიარულათ და მაღლა ჭეფდა ბატარა ძაღლი, ამ ხმაურობას მიემატა კიდევ აღელვებული ეფა, ცეზარის რომელიც სიხარულით, სან თავის ბატრონს მიეარდებოდა და სან თომას.

— დროზე კი მივასწარით, იცინოდა მსაჯული, —ბილა ადრიანათ მივედით იქ, სადაც ძაღლები ჭეავდათ დამწუჯდეული. მე ვერ ვიცნობდი შენ ძაღლს, მაგრამ დარბაისელმა ცეზარმა მაშინვე იბოვა, ჯარიმა გადავიხადეთ, ს ნიშანი მივიღეთ, მერე საველო ვიეიდეთ და საჩქაროთ აქეთ გამოვეშურეთ.

მსაჯულმა იმისი კი არა თქვარა, როგორ სვინიდისი აწუხებდა მას, როდესაც წინალამეს სავარძელში ჩაჯდა, გაჩაღებულ ბუხარ წინ და საკითხავათ ხელში წიგნი აიღო. ცეზარი მის ფეხებთან რბილათ გაშსლართული იწვა მაშინ მსაჯულს წარმოუდგა თვალწინ ბატარა გამხდარი ობოლი ბიჭი ატუზული სიცივეში ქუჩის ბოლოს. და ეს ისე ნათლათ წარმოუდგა თვალწინ, რომ წიგნში ასოები ვეღარ გაარჩია და როდესაც ძაღლმა, თითქოს მუდარებით, თავი მუხლებზე დაუდო, მსაჯულმა გულში გადასწყვიტა, რომ ძაღლს აუსრულებს მუდარებას და ვითომც ამ დაბირებას ცეზარმა გაუშვირა თავისი თათი და ორივემ ხელი ხელს მისცეს.

თომა ისე დაიფანტა სიხარულით, რომ მსაჯულს არც კი გადუხადა მადლობა. ის იდგა გაბრწყინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული სახით, გულში მიეკრა ძაღლი და გაიძახოდა: ჩემი „მაწანწალა“, ჩემი მაწანწალა.

მსაჯულს თვალები ცრემლებით აევსო, ჯიბიდან ამოიღო ფული და უთხრა:

— დაიჭი ეს ფული, შენ და შენი ძაღლისთვის მიმიცია!

თომა გამოირკვა, მიუახლოვდა ეტლს და მოსვია ცეზარს ხელი

— გმადლობთ, გმადლობთ, თქვენ, ორივეს...

მსაჯულმა უცბათ წამოიძახა: დროა, დროა, სამსახურში დამიგვიანდება და როდესაც ეტლი დაიძრა გაიცინა.

ეტლმა ცოტა მანძილი რომ გაიარა, მსაჯულმა მიიხედა უკან. ბატარა გაძხდარი ბიჭი ჩახუტულიყვითელი, ბანჯღვლიანი ძაღლით შორიდან ოდნავ მოჩანდა.

ან. წერეთლისა.

(თარგმანი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტეუილს ტეუილი მოსდევს

კომედია ორ მოქმედებათ.

(ფრანგულით)

მოქმედნი პირნი.

ბაბუცა (10 წლისა), ნიკა, მისი ძმა (8 წლისა), კატო (11 წლ.) და ტიმოთე (14 წ.). სცენა წარმოადგენს სოფელში კაკლის ხეს, რომლის ქვეშაც სუფრაა გაშლილი.

გამოსვლა I.

ბაბუცა. (მარტო. ათავებს სუფრის მოწყობას) ესეც გავათავე! აი აქ, ამ კაკლის ქვეშ ჩემი დაპატიჟებული ქალბატონი კატო და მე ერთად ვისაუზმებთ. ჩემ პატარა ძმას, ნიკასაც, დავუთმობ ცოტაოდენ ადგილს. სუფრის შუაზე დავდგამ ამ თაიგულს. რა მშვენიერი და სურნელოვანი ყვავილებია. მთელ არე-მარეზე აღარ დავაყენე არც ერთი ყვავილი, სულ რაც კარგი იყო მოვკრიფე. აქეთ მხარეს ახალ ამოღებულ ყველს და ნაღებს დავალაგებ, მეორე მხარეს ნაზუქებს... ატმები!.. კინაღამ არ დამავიწყდა! მერე რა მშვენიერი ატმები მაქვს მოსაკრეფი—სადღეისოთ. უნდა გავიქცე მალე და მოვიტანო. (გასვლის დროს შეხვდება ნიკას) აი, ჩემი ძმაც. აბა ნიკა, რაც დაგაბარე—ასრულე?

ნიკა. ავასრულე, ჩემო დაიავ.

ბაბუცა. ჩოჩორი დააბი?

ნიკა. ხო და...

ბაბუცა. საქმელიც ხომ დაუყარე.

ნიკა. რასაკვირველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბუცა. ხომ ბევრი არ არბენინე, ხომ არ დაღალე საბრალო ლურჯა?

ნიკა. სულ ნელი ნაბიჯით ვატარებდი.

ბაბუცა. მართალს მეუბნები?

ნიკა. რასაკვირველია მართალს ვამბობ.

ბაბუცა. ზოგჯერ შენი ნათქვამი დასაჯერებელი არ არი... მოიცა, რა უყავ დილას რომ პერანგი გეცვა?

ნიკა. (შეგრთება) რა ვუყავ?.. მციოდა და გამოვიცვალე.

ბაბუცა. გციოდა! მერე დღევანდელ დღეს! სიცხით იწვის ადამიანი...

ნიკა. სულაც მაგის თქმა არ მინდოდა... პირიქით... ძალიან მცხელოდა და ის არის.

ბაბუცა. (სიცილით) იმიტომაც ჩაიცვი ეგ თბილი პერანგი? კარგი, უფრო კარგი, რომ მოართულხარ აგრე სადღესასწაულოთ.. ქალბატონი კატო დღეს უნდა მეწვიოს და რომ ვნახე ძველი ტანისამოსით...

ნიკა. ქალბატონი კატო? აი იმ სასახლიდან?

ბაბუცა. სწორეთ ისა... შენ ხომ ჯერ არ იცნობ იმას, ის მხოლოთ ზაფხულობით ჩამოდის ჩვენკენ და შენ კი ამ დროს დიდი დედასთან ხარ ხოლმე.

ნიკა. რატომ არ მითხარი, რომ დღეს მოვა?

ბაბუცა. მე მხოლოთ ამ დილით შევიტყე. რა გაქვს მაგ ხელში?

ნიკა. (ხელს მალავს ზურგს იქით) მე... არაფერი..

ბაბუცა. (უშინჯავს ხელს) როგორ თუ არაფერი? დაკაწრულია, სისხლი გდის.

ნიკა. (ხელს გამოგლიჯავს) არაფერია, დამანებე თავი

ბაბუცა. (ხელმეორეთ ართმევს ხელს) დამაცა ერთი, ვნახო. (შინჯავს) როგორ მოგვიდა ეგ. თითქოს წაქცეულხარ.

ნიკა. (ადელვებით) წავქცეულვარ!.. არა, სულაც არა.

ბაბუცა. მაშ რა დაგემართა, უსათუოთ ვისმესთან გიჩხუბნია.

ნიკა. მიჩხუბნია?

ბაბუცა. ხო, გიჩხუბნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკა. არა, კი არ მიჩხუბნია, მცემეს.

ბაბუცა. გცემეს! ვინა გცემა?

ნიკა. (ადელვებით) ვინა? ვინა და იმ დიდმა ბიჭმა ტიმოთემ.

ბაბუცა. ტიმოთემ, მართლა? მერე რათა გცემა ტიმოთემ?

ნიკა. (ისევ ადელვებით) აი როგორ იყო: მე ჩემთვის ვიჯეგ ლურჯაზე და ნელი ნაბიჯით მოვდიოდი, როდესაც მიუახლოვდი დედაბერ მართას სახლს, იქ დამიხვდა ტიმოთე—ის ჩხუბის გუნებაზე იყო და უმიზეზოთ მცემა.

ბაბუცა. ეგ როგორღაც ჭკუასთან ახლოს არ არი. ტიმოთე ვეება ბიჭია და უმიზეზოთ როგორ სცემდა შენისთანა პატარას.

ნიკა. რა ვქნა, ძალიან გულმოსული იყო, არ იცოდა, რას ჩადიოდა.

ბაბუცა. რაზე იყო გულმოსული?

ნიკა. აი, რაზე... ის გამოვიდა პეტრეს დუქნიდან და მაშინ...

ბაბუცა. როგორ თუ პეტრეს დუქნიდან! შენ არ მითხარი ახლა, რომ ის დედაბერ მართას სახლთან დაგხვდა. პეტრეს დუქანი ხომ სულ სხვა მხარეს არის.

ნიკა. მერე რა ვუყოთ! შეიძლება კაცი ჯერ ერთ მხარეს იყოს და მერე წავიდეს სულ მეორე მხარეს.

ბაბუცა. მართალია, შეიძლება—თუმცა დიდი მანძილია ერთი-მეორესაგან. მე მაგას მაინც ვერ მოვუთმენ და მის მამას ვეტყვი, როგორც კი ვნახავ

ნიკა. არა, ჩემო ბაბუცა, გეხვეწები არავის უთხრა. ჯავრს ამოიყრის ჩემზე და უფრო ცუდ დღეს დამაყენებს.

ბაბუცა. აბა ვნახო რასაცა იქს, მაგაზე უარესს ხომ არაფერს გერჩის.

ნიკა. რასაკვირველია.

ბაბუცა. არ შევარჩენ, მე იმას გავურიგებ საქმეს. (აწყობს და ასწორებს სუფრას) ახლა კი უნდა დავკრიფო ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატმები. შენ აქ დარჩი და თუ პატარა ქალბატონი მობრძანდეს ჩემზე ადრე, შემატყობინე. (საჩქარო გადის).

ნიკა. (მარტო) ატმებიო! დიდხანს მოუნდება ატმების ძებნას. ის ატმები დიდი ხანია შეჭმულია. რატომ არ მითხრა, რომ იმითი უნდა გაუმასპინძლდეს პატარა ქალბატონს! ხომ ხელს არ ვახლებდი. მერე რა მშვენიერი და გემრიელი იყო ის სამი ატამი, რომელიც შევჭამე. მეოთხე კი ხელში მეჭირა და არ ვიცი რა იქნა, როდესაც ლურჯამ გადმომაგდო. სულ არ მეგონა, რომ ჩვენი ლურჯა ასე ვერაგათ მომექცეოდა და ძირს დამცემდა.

კატო. (თავის გამცილებელ ქალს) მადლობელი ვარ, მარიამ. აი, იმ ხის ქვეშ დაჯექ და მოქსოვე შენი წინდა, სანამ უკან დავბრუნდებოდე (წამოდის სუფრისკენ) ბაბუცა უსათუოდ აქ სადმე დამიხვდება.

ნიკა. (თავისთვის) ამას რას ვხედავ! ეს ის ქალია, რომელიც მართას ქოხთან შემხვდა.

კატო. (იცნობს ნიკას) დახე, ეს ის პატარა ბიჭია, დღეს რომ ვნახე. (მოუბრუნდება ნიკას) გამარჯობა, ჩემო პატარავ, ხომ არა გტკივარა, დღეს რომ ჩოჩორმა გადმოგაგდო.

ნიკა. (შეკრთება) მადლობელი ვარ, ქალბატონო—არა მტკივარა.

კატო. ძალიან კარგი. ბაბუცა აქ არ არის?

ნიკა. (დაფანტულივით) ჩემი და ბაბუცა?

კატო აჰ! შენი დაა? იმას აქ უნდა სადმე მოეცადნა ჩემთვის.

ნიკა. (თავისთვის) ღმერთო ჩემო, რა მეშველება, ბაბუცა რომ უცდიდა ეს ის ბატონიანთ ქალი ყოფილა. (ხმა მაღლა) თქვენ ხომ არა ბრძანდებით ქალბატონი კატო?

კატო. სწორეთ მე ვარ.

ნიკა. (თავისთვის) ახლა რაღა ვქნა. თუ ბაბუცას ნახავს, ყველაფერს ეტყვის ჩემზე. რა კარგი იქნება, რომ აქედამ გავისტუმრო როგორმე. ნეტა რა მოვიგონო, რა მოვახერხო?

კატო. არ იცი შენი და სად არის?

ნიკა. ჩემი და?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატო. ჰო. შენი და, ბაბუცა!

ნიკა. (თავისთვის) რა კაი ფიქრი მომივიდა თავში. (ხმამაღლა) ავად არის.

კატო. როგორ თუ ავად არის! (უჩვენებს გაშლილ სუფრაზე) ვინ გაშალა, ვინ მოამზადა ეს სუფრა, განა იმის საქმე არ არის.

ნიკა. მართალია, მაგრამ მერე უცაბედათ ავად გახდა და ჩაწვა ქვეშაგებში.

კატო. ჩაწვა ქვეშაგებში! მაშ ძალიან გამხდარა ავად!

ნიკა. დიახ, ქალბატონო. მე გამომგზავნა თქვენ შესატყობლათ და თქვენ შემხვდით აქ. ის გთხოვთ, კვლავ მობრძანდეთ.

კატო. მაშ ავად არის! შეუძლებელია ასე უცბათ.

ნიკა. ნამდვილს მოგახსენებთ.

კატო. არ იქნება, რომ ვნახო?

ნიკა. სახლში არ გახლავთ.

კატო. მაშ სად არის?

ნიკა. ბებიასთან გიახლათ. აქედამ კარგა მანძილია.

კატო. ნახევარ საათზე მეტს ხომ არ მოვუნდები, ახლავე მოვნახავ ჩემ გადია მარიას და ბაბუცას სანახავათ წავალ. (საჩქაროთ გადის).

ნიკა. (მარტო) რა საძაგლათ მოვიდა საქმე, ახლა რომ ბებია ჩემთან წავიდეს და მერე ისევ დაბრუნდეს... რა მეშველება... ბაბუცას ხომ ყველაფერს უამბობს, როგორ ვაჭენებდი ლურჯას, როგორ გადმომაგდო იმან, როგორ ჩავარდი წუმპოში და როგორ დამიშავდა ხელი. მე კი რანაირად მიხაროდა, მეგონა საქმე კარგათ მოვაწყე.

ბაბუცა. (ტირილით შემოდის) ვაი ჩემო ატმებო!

ნიკა. რა არი, რა დაემართა შენ ატმებს?

ბაბუცა. რალა რა დაემართა, ვიღასაც დაუკრეფია.

ნიკა. (თითქოს გაოცებული) მართლა?

ბაბუცა. ერთიც აღარ დამიხვდა. დარწმუნებული ვარ, შენ მოსწყვეტდი.

ნიკა. მე? მე რად მაბრალებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბუცა. მაშ ვინ ახლებდა ხელს? წუხელის ისევ ხეზე ება.

ნიკა. მერე, მე რა შუაში ვარ. გინდა გითხრა ვინც შეჭამა შენი ატმები?

ბაბუცა. შენ რა იცი?

ნიკა. ვიცი. არ მინდოდა მეთქვა, რომ არ გეწყინოს.

ბაბუცა. მითხარი, ვის აბრალებ?

ნიკა. (ფიქრობს) ვის ვაბრალებ და მაგდანას თხას.

ბაბუცა. მაგდანას თხას?

ნიკა. სწორეთ იმას.

ბაბუცა. როდის შეჭამა?

ნიკა. გუშინ, სადილთ უკან.

ბაბუცა. მერე, მე რომ გუშინ საღამოზე ხელუხლებელი ვნახე.

ნიკა. შემცდა. გუშინ კი არა, დღეს დილით სჭამდა.

ბაბუცა. დღეს დილითო?

ნიკა. დიახ, დღეს დილით, გათენებისას თვალი მოვკარ, რომ ღობიდან გადმოხტა ვიღაც, ეგ ის თხა იყო. მიუახლოვდა ატმის ხეს და დაუწყო ჭამა.

ბაბუცა. ძნელი დასაჯერებელია. მერე როგორ მისწვდა, კიბეს ხომ არ მიიდგამდა.

ნიკა. რატომ არ ასწვდებოდა, თხა ხომ ხეზედაც ავა.

ბაბუცა. (ეჭვით) მართალს მეუბნები?

ნიკა. რასაკვირველია.

ბაბუცა. რა გაეწყობა, სულ ერთია, ვისაც უნდა შეეჭამოს, ჩემი მშვენიერი ატმები ალარ არი და ეს ძალიან საწყენათ დამრჩა, მინდოდა მითი გავმასპინძლებოდი ქალბატონ კატოს.

ნიკა. გინდა, იმის მაგიერ მოგიკრიფო ჩემ ბაღში ერთი კალათი ყურძენი? ის ახლა კარგა დამწიფებულია.

ბაბუცა. მაგას რა შეედრება, შენი ჭირიმე დაჩქარდი.

ნიკა. ახლავე მივდივარ. (თავისთვის) უნდა შევიტყო, ის ქალბატონი წასულა თუ არა აქედან. (გადის).

ბაბუცა. (მარტო) მე კი ეჭვი ავიღე საწყალ ნიკაზე! ჩემი ძამია რა კეთილი რამ არის, წავიდა თავის პატარა ბა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღიდან ყურძნის მოსატანათ. რა თქმა უნდა, ჩემი ატმები ემჯობინებოდა, მაგრამ რა გაეწყობა. ნეტა თუ რათ იგვიანებს ქალბატონი კატო, ხომ არაფერმა დააბრკოლა. უნდა ვნახო ჩემი ქადები, აქამდის გამოიცხობოდა. (გადის).

ან. წერეთლისა.

(პირველი მოქმედების დასასრული)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნებლიეთი დანაშაული.

(დასასრული).

მერთმა მშვიდობა მოგცეთ. საცა გნებავდეთ წადით. ბოლოს თქვა მარიამმა, მე სხვა პირობით მუშაობა არ შემიძლიან. ბაბუცა ხომ თავს არ დამანებებს, ჩემს მეტი პატრონი არავინა ჰყავს და მეც მაგის დახმარებით ვიმუშავებ მარტო, ცოტა იქნება თუ ბევრი...

— როგორ, გვითხოვ? უმუშავროთ გვტოვებ? როგორ შეგიძლიან. მთელი ზამთარი, დიდმარხვა ჯანი გაგვაგდებინე და ახლა.!

— მე კი არ გითხოვთ თქვენ მიშხამებთ წუთისოფელს, აქარწყლებთ ჩემს ამაგს... ჩემი სიღარიბე, დაუღალავი შრომა ლუკმისათვის არა კმარა რომ ზედაც თქვენი უმადურობა არ დეერთოს... ოხ, ოხ! რა დრო დაგვიდგა, რა დრო...და უფრო და უფრო აქვითინდა მარიამი.

პელაგია და მეორე ქალები არ მოელოდნენ ამგვარ მარიამის მწუხარებას და ცოტა არ იყოს შერცხვათ. კარებისკენ მიდგნენ და ჩურჩული დაიწყეს.

მარიამმა კი თვალების წმენდით და ხელების ცახცახით ნემსი ააგო და საადგომო კაბების დუგმების გადაკერება დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ რას გვეუბნები? გვითხოვ, თუ კვირაცხოვლობის მეორე დღეს კიდევ მოვიდეთ? შერიგების კილოთი შეეკითხა დარო, რომელიც დანარჩენ ამხანაგებს მეთაურობდა.

— როგორც გენებოთ, გეთაყვანე. მე ახალი პირობებისა არა ვიცი რა! როცა ბევრი საქმეა, ბევრი უნდა იმუშაოთ და როცა ცოტაა, მაშინ ხომ გულხელ დაკრებილებიც სხედხართ ხოლმე. სად არის სამართალი, ყოველთვინ ერთ ნაირად, ერთი დრო უნდა მოვანდომოთ საქმეს? განა მე არ ვიღალები, მე უფრო მეტი პასუხის მგებლობა არ მაძევს საქმეში? თქვენ უჩემოთ რა შეგიძლიანთ? არ გვეყოფა „ზაკაზჩიცის“ ჭირვეულება, იმათგან ჯვარს ცმა, უშვერი სიტყვა ყოველი წვრიმალისათვის, რომ თქვენც ცეცხლი არ მომიკიდოთ!

მარიამს ნევსი უხტოდა ხელში ტირილით და თეთრ, სპეტაკ სადღესასწაულოთ მომზადებულ კაბებზედ ცრემლი ნაკადულად დადიოდა.

ქალები გრძნობდნენ თავიანთ უდროოთ ჩხუბის ატეხას, ებრალებოდათ დაქანცული მარიამი და კარგა ხანს ხმას ვერ იღებდნეს. ბოლოს ისევ პელაგია მიუახლოვდა, ხელიდგან გამოართვა კაბა და დაყვავებით უთხრა: ვერა ხედავთ, ოსტატო, კაბა სული ცრემლებით დანამეთ! შეიძლება ლაქებიც დააჩნდეს და გადასახადიც გაგიხდეს. მე გავაკეთებ.

— თქვენ კი მანამ ჩვენ გაგვისწორდით. ძლიერ გვეჩქარება...საქმეზედ შემდეგ მოვილაპარაკოთ, უთხრა მარიამს დარომ.

მარიამმა თვალები მოიწმინდა. ეს დაჩვეული იყო ყველასაგან დაჩაგვრას, ყველასაგან დაბრიყვებას და თავისი შეგირდების უსამართლობასაც თავის ბედს მიაწერა. უჩუმრად ამოიღო ჯიბიდან ქისა და დაუწყო ყველას თავისი ხვედრი ფულის ძლევა.

უცებ ქისა სტოლზედ დააგდო და სასტუმრო ოთახში შეირბინა. იმას მხოლოთ ეხლა გაახსენდა რომ ნატალიას მოცემული თუმნიანი ჯიბეში არ ჩაუდვია.

ათასჯერ გადაბერტყა მაგიდის სუფრა, ოთახი სულ აურდაურია, მებელი მისწი-მოსწია, მაგრამ თუმნიანი ვერ იპოვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწუხებული და აღელვებული ისევ სამკერვალო ოთახში გამოვარდა და გაანჩხლებით შეჰყვირა:—სთქვით ეხლავე, გამოტყდით! რა უყავით ჩემი თუმნიანი! ვინ თქვენგანმა აიღო და თვალი გამომთხარა?!

— რას ბძანებთ, ოსტატო! როგორ თუ ჩვენგანმა? ჩვენ რა ვიცით რა თუმნიანზედ ლაპარაკობ, სადა გქონდათ, სად დაკარგეთ? ჩვენ რა მიზეზით გვაბრალებ? შეშფოთებით შესძახეს შეგირდებმა.

— როგორ თუ რა თუმნიანი, როგორ თუ სადა მქონდა. მე არაფერი არ ვიცი, ეხლავე, ეხლავე აქ გააჩინეთ ჩემი „იმპერიალი! გესმით! თორე გროშს არავის არ მოგცემთ. არცა მაქვს რო მოგცეთ. თავში ქვა იხალეთ და ეხლავე ერთმანეთს გამოაჩენინეთ!

— სადა გქონდათ შენახული, ვინ მოგცათ, როდის? ეკითხებოდნენ შეგირდები გულგახეთქილ მარიამს და ცდილობდნენ დახმარებას, მოძებნას.

— ვინ მომცა, სადა მქონდა? ამ წმში ნატალიამ მომცა და იქ მაგიდაზედ დამრჩა. უთუოთ თქვენგანი შევარდა ვინმე და აიტაცა. ეხლავე ყველას გაგჩხრეკავთ, პოლიციას დავუძახებ... ვის გაუგონია კაცმა თავის სახლში მაგიდაზედ ფული ველარ დასდოს!

— რეებს ამბობთ, ჭკუას დაუკვირდით? შეტევით უთხრა ამაყმა და გამბედავმა დარომ.—როგორ შეგიძლიან გაგვჩხრიკო, როგორ შეგიძლიან დაგვაბრალო უმიზეზოთ! შენ შენს ოთახში ფული გქონია თუ არა გქონია, ჩვენ რა ვიცით. შენ ხომ იცი, რომ ჩვენ იქ არ შემოვსულვართ, ან ფულს რად მოგცემდა, როდესაც ეს ოხერი კაბები ისევ აქ აწყვია

— ამდენი წელიწადია თქვენთან ვმუშაობთ და ეხლა ღმერთი გაგვიწყრა. სირცხვილი შენთვის, რომ მართალ ხალხს ცილსა გვწამებ, მწუხარებით სთქვა პელაგიამ.—თუ ჩვენი გასასწორებელი ფული არა გაქვს, ბარემ პირდაპირ გვითხარ და ჩვენი ლუკმა შეირჩინე!

— როგორ თუ თქვენი ლუკმა შევირჩინო? მაშ ტყუილად გაბრალებთ? შარი მინდა მოგიდოთ?! უი, ჩემ თვალებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ური, ჩემ შერცხვენას! განა აგრეც მიცნობთ. განა მე თქვენთვის კაპეიკი დამიკლია როდისმე. მაგრამ ასე ჩემი აშკარად გაცარცვა, საშინელებაა! ჩემის ორთავ თვალით დავინახე რომ იმ ქალმა გაპრიალებული იმპერიალი დადო მაგიდაზედ. მაშრა იქნა! ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ! მაჩვენეთ თქვენი ჯიბეები, უმაგისოთ ამ ოთახიდგან ვერავინ გავა. კიდევ და კიდევ ანჩხლობდა მარიამი და ებრძოდა შეგირდებს.

— აი, გენაცვალე, ჩემი ჯიბე—უბე, ნახე, თუ მაგათი დარწმუნდები! საჩქაროდ გადმოიბრუნა ცარიელი ჯიბე პელაგიამ, კაბის ზედა ტანიც გაიხსნა, აი უბეც.

— აი ჩემიც, სთქვა კეკემ.

— მე კი არ გიჩვენებ არც ჯიბეს და არც უბეს! ამაყად შეჰკივლა დარომ.—სირცხვილი შენთვის რომ „აბიდას“ გვაძლევ! ჯერ კარგად მოძებნე, გამოკითხე მომცემს და მერე ჩვენ მოგვარდი! პელაგია მართალს ამბობს, ეგ შენგნით მხოლოდ შარია, ცარიელი შარი, რომ უფულოდ გაგვისტუმრო!

მარიამი მთლად გაშრა ამგვარის შეურაცყოფით, მაგრამ რას გააწყობდა ბევრის ლაპარაკით! იმან კუთხის კუთხეში გამოკრული, თითო აბაზობით შენახული ფული გამოხსნა და ყველას თავისი ხვედრი ჩააბარა. ყველანი ერთ წამზედ გაიფანტნენ, დარჩა მარტო მარიამი. ღონე მიხდილი, შეწუხებული დანაკარგით და შეურაცყოფილი შეგირდებისგან მაგიდას დეეყრდნო და სასოწარკვეთილებას მისცა თავი.

მთელი ჩემი ცხოვრება დაუსრულებელი, აუტანელი შრომაა და უმადურობა ადამიანთაგან. რათა, რისთვის? ნუ თუ ღმერთი არასოდეს არ გადმოხედავს ჩემ უბედურ ცხოვრებას, არ მომცემს დასვენებას როგორც ხორციელს, ისე ზნეობრივს... ფიქრობდა მარიამი და თან მდუღარე ცრემლი ცრემლებზედ სდიოდა.

პატარა ბაბუცამ გათავებული კაბები ფეხის აკრეფით სასტუმრო ოთახში გაიტანა. სამკერვალო ოთახი დაგავ-დაწმინდა, მაგიდას სუფთა სუფრა გადააფარა, ზედ აქაფქაფებული სამოვარი დასდგა და მერე თავის ოსტატის წინ დაიჩოქა, თავის ხუჭუჭი თავი კალთაში ჩაუდო და ალერსით უთხრა: „ნუ სჯავრობ, ნუ სტირი, ოსტატო! ხვალ აღდგომაა. ნუცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ ჯნდა მოიყვანო? რა კაბას წაუღებ... სადილად რას მოუმზადებ? ხვალ დიდი, დიდი დღესასწაულია, ყველას გული უნდა ხარობდეს, ყველას დანაშაული უნდა ეპატიოს... შენც აპატიე გოგოებს.

— ჩემო ბაბუცი, ჩემო ერთგულო და საყვარელო მოწაფევ! მადლობა ღმერთს რომ შენ მაინც აქა მყევხარ! შენც ხომ თავს არ დამანებებ, შენც ხომ არ მიღალატებ? ამ სიტყვებით მარიამი გადაეხვია პატარა გოგოს და მხურვალეთ გადაჰკოცნა. როგორ გმადლობ, ჩემო კარგო, რო გონებაზედ მომიყვანე, ჩემი მოვალეობა მომაგონე. „ხვალ აღდგომაა, აღდგომა... ნუცა უნდა მოვიყვანო და სახლში კი არა გამაჩნია რა, არც სასმელი, არც საჭმელი, ჯერ არც კაბა მაქვს ნუცასთვის მომზადებული. აბა, ჩემო ერთად ერთო მეგობარო, შეეუდგეთ საქმეს. ერთი კიდევ გავისარჯნეთ და ხვალ სრულ დასვენებას და შვებას მივეცნეთ.

ჯერ ბაზარში გავიქცეთ. პასკა, წითელი კვერცხები, ბატკნის ბარკალი ვიყიდოთ. მერე ნუცას კაბის გადაკეთებას შეუდგები, თეთრი კაბა უნდა დაუგძელო, გაუუთოვო, პირისფერი ბანტებით მოურთო. შენც იმის პირისფერ კაბას გამოგიწყობ. თუ სუყველაფერი მოვასწარით „ზავედენიაში“ ლიტონიაზედ გავიქცეთ. იქნება ნუცაც წირვის შემდეგ დამანებონ... ვინ იცის ჩემ მოსვლას როგორ ელის და მე კი კინაღამ სუყველაფერი დავივიწყე. მადლობელი ვარ ჩემო ბაბუცი, მადლობელი! ღმერთმა შენი ამაგი არ დამავიწყოს.

— სუყველაფერს მოვასწრებთ, სუყვმლაფერს! ყვიროდა სიხარულით ბაბუცა და თან ფაცი-ფუცით ჩაის უკეთებდა ოსტატს, ბაზარში წასაღებად კალათას, სალფეთქს ამზადებდა.

— აბა ერთი ცხელცხელი ჩაი მიირთვი, ოსტატო! ხედავ, ჯერ რვა საათზედ მეტი არ არის, ლიტონია კი თორმეტზედ იწყება. ოთხი საათი, მთელი ოთხი საათი რას არ გავაკეთებთ!

—

ღამის სამი საათი იყო, როდესაც მარიამი, ბაბუცა და ნუცა გახარებულნი, მორთულნი და აღტაცებულნი ლიტონიიდგან დაბრუნდნენ. სამკერვალო ოთახი ბრწყინვალეთ იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩაღებული დიდის ლამფით, თეთრ სპეტაკ სუფრა გადაფარებულ მაგიდაზედ ყელმოღერებული შაქრის ბატკნით და ჯვრით გამოწყობილი პასკა იდგა, შემწვარი ბატკანი, წითელი კვერცხები, ბოთლით ღვინო, ყვავილების პატარა კონა და მის გვერდით ლამაზი პირის ფერი ატლასის კვერცხი.

— ქრისტე აღდგა! გენაცვალოს დედა! სიყვარულით უთხრა მარიამმა თავის ნუცას და პირისფერი, ვარაყით შემკული კვერცხი მიულოცა.—აბა ნახე, რა მშვენიერება რამ არის შიგ. ლიზეტამ მოგიტანა. ხვალ იმასთან წადი, მიულოცე და მადლობაც გადუხადე. ამ სიტყვებთან მარიამმა კვერცხის ფოლაქს ხელი დააჭირა და შიგ მოთავსებული სურათი დაანახვა ნუცას.

— ოჰ, ოჰ! რა კარგია, რა მშვენიერია, აღტაცებით სთქვა ნუცამ და კვერცხი პირთან მიიტანა საკოცნელად. ამ დროს კვერცხიდგან რაღაც მრგვალი, პრჭყვიალა წკრიალით დეეცა იატაკზედ. ბაბუცა დაიხარა ასაღებათ და საშინლად შეჰკივლა—ოსტატო, ოსტატო! ეს ხომ ოქროს „იმპერიალია!“ და შენ კი.

— იმპერიალია, იმპერიალი!? გულზედ ხელის მიდებით და გაფითრებულმა სთქვა მარიამმა და თვალებზედ ხელი მიიფარა.—ჩემ შერცხვენას, ჩემ ვერაგობას! მე კი რა უსამართლობა ჩავიდინე: ბრალი დავდე მართლებს, შეურაცყოფა მივაყენე უდანაშაულოთ! ოხ, ქრისტე ღმერთო, სიმართლისთვის ჯვარცმულო, მაპატიებ ჩემ უნებლიეთ დანაშაულს?

ეკ. **გაბაშვილისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიუტი თხა

მამინ-სიბირიაკისა

(დასასრული)

IV

ცუდათ წავიდა დურგლის საქმე, თავისი უკანასკნელი ქოხის გაყიდვაც კი განიზრახა. ერთ საღამოს მყიდველიც მოიყვანა. დადიან და სახლსა შინჯავენ. მყიდველი კედლებს უკაკუნებს, შინჯავს, დამპალი ბოძი ხომ არსად არისო.

— ჩინებული ქოხია,—არწმუნებდა დურგალი.—მე გასასყიდათ კი არ ამიშენებია.

მყიდველს სხვისი სიტყვა არა სჯეროდა, ის მარტო თავის თავს და თავის თვალს უჯერებდა. გარედამ ქოხი კარგად გაშინჯა და მერმე უნდოდა კიბის ქვეშაც დაეთვალიერებინა. თხა კი კიბის ქვეშ იწვა, მყიდველმა როგორც კი თავი შეჰყო, თხამ რომ ნახა უცხო კაცი—წამოვარდა და ისე ერჩოლა, რომ თავი კინალამ შუაზე გაუპო.

— ეს ვინ ღენერალი გიწევს აქა? ილანძღებოდა მყიდველი და კიბიდამ გამოძვრა—კინალამ არ მომკლა, წყეულმ•!

დურგალს უნდოდა თხა კიბის ქვეშიდამ გამოეგდო, მაგრამ ადვილი არ იყო მისი დაძვრა. ისე მაგრა დაბჯინებოდა იმ ადგილს, რომ პატრონმაც კი ვერ მოაჩერხა ახლოს მიკარება.

— გაუშინჯავათ ყიდვა არ შემიძლია, —გამოუცხადა მყიდველმა.

— ეგ შენი საქმეა.

დურგალი და მყიდველი ერთმანერთს ლაპარაკში ისე შეებმენ და გაცხარდნენ, რომ საცემრათაც კი მიიწიეს. ხმაურობაზე მეზობლები მოცვინდნენ და ძლივს გააშველეს.

— შენ თითონ თხა ხარ, —ლანძღამდა მყიდველი დურგალს.—იმ კიბის ქვეშ ერთად უნდა იცხოვროთ.

ასე ჩაეშალა დურგალს ქოხის გაყიდვა. ეხლა კი ძალიან გაუწყრა იმ ჯიუტ ბებერ თხას. რათ მინდა რომ ეს თხა ტყუილ-უბრალოთ მიგდია სახლში! მამალს მაინც შევჭამ, მურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლს დარაჯობს, ციცუნია თაგვს იჭერს და თხა კი რის მაქნისია!

რამდენსაც უფრო მეტს ფიქრობდა, იმდენათ უფრო რწმუნდებოდა, რომ თხა მეტი ბარგია და თითქოს უშლის კიდეც ყველაფერში ამის გულისთვის მეზობლებიც მოიმდურა. დურგალი უფრო იმიტომ ჯავრობდა თხაზე, რომ სახლის გაყიდვა შეუშალა.

— სულ ამ წყეულის ბრალია, მყიდველი გამიქცია, — იძახდა დურგალი — კინაღამ მეც რქებზე ამაგო... მოიცა, მე შენ გიჩვენებ! მომიგონებ ხოლმე, შე ჯიუტო პირუტყვო!

სთქვა და კიდეც აასრულა: თხა დაიჭირა, კისერში თოკი მოაბა და გასასყიდათ წაიყვანა. თხა არ მისდევდა, ჯავრობდა, ჯიუტობდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. მეტადრე მაშინ, როდესაც დურგალს მეზობლები მოეშველნენ. ისინი ემტერებოდნენ თხას და უხაროდათ რომ თავიდამ იშორებდნენ.

— წაათრიე, — ყვიროდნენ მეზობლები და სცემდნენ. — ჩვენც მოვისვენებთ. — შარშან ამ წყეულმა ერთ დედაკაცს ორი კბილი ჩაამტვრია. იმას კი არავინ არ იგონებდა, რომ იმ დედაკაცმა საწყალ თხას ორჯელ მდუღარე წყალი გადაასხა. ის დიდი ხანია ამგვარ უსამართლობას შესჩვეოლა და მეზობლების ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევდა. იმათ უთუოდ არ იცოდნენ, რომ სხვა თხები უარესები არიან, ბევრად უფრო უარესები.

თხა მაინც გასასყიდათ წაიყვანა, მთელი დღე დაალამა, მაგრამ მყიდველი არ გამოჩნდა. დურგალი ამა'ე უფრო გაჯავრდა, რომ ეს რა პირუტყვია რომ მუქთათაც კი არავის არ მიჰყავს? და გაჯავრებულმა რამდენიმე წიხლი წაჰკრა.

— შენი გულისთვის მთელი დღე დავაბანდე.

— მე შენთან ლაპარაკი არა მსურს.

— კარგი, მოიცადე, მე შენ გიჩვენებ სეირს!

როდესაც ყველა მყიდველები წავიდ-წამოვიდნენ, დურგალმა თხა თავის ნაცნობ ვაჭართან მიიყვანა, ეზოში შეიყვანა და თხას ქება დაუწყო.

— მადრიელი დამრჩებით, თქვენო აღმატებულებავ, ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხა კი არა—განძია, ისეთი მორჩილი, ჭკვიანი და ნასწავლიც ამისთანა თხას სანთლითაც ვერ მონახამთ.

— მაქე, უფრო მაქე,—ბუტბუტებდა თხა და კიკინებს აცმაცუნებდა. ოღონდ ფრთხილად, ტყუილებმა არ დაგახრჩოს...

— მერე როგორი მოხერხებულია,—აქებდა დურგალი,—საჭმელი არც კი უნდა, თითონვე შოულობს!

— მაგას კი ძალიან სტყუი,—ჯავრობდა თხა,—ერთი კარგათ რომ გავძღე—ძალიან მიამება, დიდი ხანია ჩემ კუჭში არა ჩასულარა.

ვაჭარს თხა ძალიან მოეწონა, საყიდლათ სწორეთ ამისთანას ეძებდა, ბავშვებიც გაერთობიანო. გარიგდნენ. დურგალმა სამი მანეთი მიიღო, თხა დასტოვა და თითონ წამოვიდა, დიდი ხანია ამდენი ფული არა ჰქონია და სიხარულით კარგა გამოთვრა.

დურგალს მეორე დღეს რომ გამოელვიძა ციცუნია ბუხართან იჯდა და კნავოდა:

— ბიძიავ, თხა ისევ ჩვენსა ?ოვიდა, ყელზე თოკით მობმული.

— რაც უნდა ჰქნას, ის ჩემი აღარ არის.

ვაჭრის მოსამსახურეები მოვიდნენ და თხა ისევ წაათრიეს.

— რას ჯიუტობ, გაკვირვებით ეუბნებოდა დურგალი,—იქ მაძღარი მაინც იქნები.

— ეგ ჩემი საქმეა,—უპასუხა გაჯავრებულმა თხამ.—სტუმრათ კარგია, მაგრამ სახლში მირჩევნია.

გაიარა ორმა დღემ და თხა ისევ დაბრუნდა. ვაჭრის მოსამსახურენი მოვიდნენ, იმდენი სცემეს, რომ დურგალსაც კისაცოდავი პირუტყვი შეეცოდა.

— კარგი, ნუ ჯიუტობ,—ეხვეწებოდა თხას.

თხამ დურგალს შეხედა და უთხრა:

— აი, შე ურცხვო, შენა!

ჩაფიქრდა დურგალი. სწორეთ ახირებული თხაა: იქ არ უნდა დარჩენა, სადაც კარგათ ასმევენ და აჭმევენ და აოხრებულ სახლში მორბის; აქ თაგვების სამყოფი საჭმელი არც კი მოიპოვება. შერცხვა დურგალს, საცოდავი თხა კოჭლობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა სახლში, მეზობლებსაც კი შეეცოდათ, კიბეს ქვეშ შეძვრა და დაწვა. დურგალმა ერთი ნაჭერი პური სადღაც იშოვნა და თხას მიუტანა.

— აჰა, ჭამე, შე ჯიუტო, შენა.

თხა არც კი გაინძრა, პურს არც კი შეხედა, დურგალს ეხლა კიდევ უფრო შერცხვა.—აი უსიტყო პირუტყვია და თავისი ძველი ბინა არ უნდა დაჰკარგოს.

აი, ციცუნია, მამალი, მურია, თუმცა მშიერ-მწყურვალენი არიან, მაგრამ მაინც თავიანთი ბინა არ უნდათ მიატოვონ. დურგალი ვაჭართან წავიდა და უთხრა:

— თქვენო აღმატებულებავ, რა ვქნა, რომ თხა ისევ ჩემთან დაბრუნდა?

— შენ მე მომატყუილე, ჭკვიანი თხა კი არ მომყიდე, ნამდვილი ეშმაკია. ჩემი მოსამსახურეები მაგის უკან დევნაში მოიქანცნენ, ხელები დაიარავებული აქვთ.

— არა, თქვენო აღმატებულებავ, თხა სრულებითაც სულელი არ არის.—ის ჩემისთანა პატრონზე ბევრათ უფრო ჭკვია. ნია, თავის ძველ ბინას აფასებს და არ უნდა მიატოვოს. —დამითმეთ ისევ მე და იმის ფასს მუშაობაში გამოგიბრით.

— თუნდა მუქთად წაიყვანე, ის მაინც აქ არ დადგება-

— არა, მუქთად რათ მინდა.

დურგალი სახლში ისეთი მხიარული დაბრუნდა, რომ დიდი ხანია ის ასეთი არავის არ უნახავს. ილოცა და მუშაობას შეუდგა: ხელეჩო, ხერხი და წალდი ახმაურდნენ. ეზოში ნაფოტი და ბურბუშელა გაჩნდა. მეზობლებს დურგლის სიმღერა მოესმათ, მუშაობს და მღერის.

— ეხლა კი ისევ კარგა წავა ჩვენი საქმე,—იძახოდა მურია.—ჩვენი პატრონი ისევ მღერის, უბედურება აგვცილდა.

თხა თავის კიბიდამ გამოძვრა, კიკინები გააცმაცუნა და სთქვა:

— მე რომ არ ვყოფილვიყავი, ყველანი დაიღუპებოდით.

—

ერთი წლის შემდეგ სახლის გარშემო ახალი ღობე აიართა, ახალი კარები, საჯინიბე და ბეღელი. მტრედები მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრინდნენ, ბალღურები აჭიკჭიკდნენ, ბებერი თაგვი თავის ოჯახობით დაბრუნდა.

— ეს ჩვენთვის, თაგვებისათვის, აუშენებია,—არწმუნებდა თაგვი და საჯინიბეს ათვარიელებდა.—არა უშავს რა, როგორც იქნება მოვთავსდებით.—აკი მაშინ უთხარი, რომ ის უჩვენოთ ვერ გასძლებს.

ეკ. მელხისა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება ინგლისში

ირველ საუკუნოებში დღევანდელს ინგლისში სცხოვრობდენ ბრიტები. ბრიტებს დრო და დრო თავს ესხმოდენ გერმანიის ერები – ანგლები და საქსები. მეხუთე საუკუნეში ანგლებმა და საქსებმა გაიმარჯვეს და დაიპყრეს ინგლისი. მეცხრე საუკუნემდე ინგლისის ბატონები ისინი იყვენ. მეცხრე საუკუნეში მათ ომი აუტეხეს ნორმანებმა, რომლებიც დღევანდელს ნორვეგიაში სცხოვრობდენ. ამ ომს ის შედეგი მოჰყვა, რომ ინგლისის ერთი ნაწილი ნორმანებმა დაიპყრეს. მეთერთმეტე საუკუნეში ნორმანებმა მთელი ინგლისი დაისაკუთრეს, მიიღეს ქრისტიანობა და ამ გვარათ დააარსეს ერთი სახელმწიფო—ინგლიხი. ნორმანები, ანგლები, საქსები და ბრიტები შეერთდენ, შეირიენ ერთმანერთში და ამ გვარათ შეადგინეს ერთი ერი—ინგლისელები. ამ დროს განმავლობაში სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე. უმეტესი ნაწილი მიწებისა ეკუთვნოდა მეფესა და ბარონებს. თავთავის სამფლობელოებში ბარონები განუსაზღვრელი ბატონები იყვენ და მოსამართლის უფლებებითაც კი იყვენ აღჭურვილი. ბარონები ხშირათ ებრძოდენ ერთმანერთს, ერთი-მეორეს იმორჩილებდენ. ბრძოლისათვის საჭირო იყო ციხე-სიმაგრეები და ამიტომ ყოველი ბარონი საკმაოთ იყო გამაგრებული ციხეებით. ბარონები ხშირათ მეფეებსაც კი ებრძოდენ და ამიტომ ბარონების უფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შეზღუდვას ყოველი მეფე ცდილობდა. ხალხი უფლებას მოკლებული იყო; მას ტყავს აძრობდა ჯერ მეფე, შემდეგ ბარონები და სამღვდელოება. ბარონები ვალდებული იყვენ, მეფისათვის ხარჯი ეძლიათ. მეცამეტე საუკუნის დასაწყისში ინგლისში მეფობდა იოანე, რომელიც უთავბოლოთ ჰფლანგავდა ფულებს და ბარონებს მისი შენახვა გაუჭირდათ. როცა მეფემ ზედმეტი გადასახადი მოითხოვა ბარონებისაგან, ბარონები აჯანყდენ; ხალხი ბარონებს მიემხრო. მაშინ მეფე იძულებული გახდა მიეცა ხალხისათვის სხვა და სხვა უფლებანი, რაც მან აღნიშნა „დიდ ხარტიაში''. ეს ხარტია წარმოადგენდა კონსტიტუციას და ის დღესაც საფუძველს შეადგენს ინგლისის სახელმწიფოებრივი წყობილებისას. მეცამეტე საუკუნის გასულს ერთმა ძლიერმა ბარონმა სიმონ დე-მონფორმა დაატყვევა მეფე და დააწესა პარლამენტი. პარლამენტის მოვალეობა იყო სახელმწიფოს მთავარი საქმეების გამგებლობა. პარლამენტს შეადგენდენ მთელი ინგლისის თავისუფალი ხალხის წარმომადგენლები. ამ გვარათ საპარლამენტო მართვა-გამგებლობა სახელმწიფოსი, რაც დღეს იკიდებს ფეხს რუსეთში. ინგლისში ამ ექვსასი წლის წინეთ არსებობდა. პირველ ხანებში ინგლისში პარლამენტში მონაწილეობის უფლებას გლეხები მოკლებულნი იყვენ. სხვა და სხვა შევიწროებამ გამოიწვია მეთოთხმეტე საუკუნის გასულს გლეხების აჯანყება ინგლისში; ამ აჯანყებას შედეგათ მოჰყვა ბატონყმობის გაუქმება. თუმცა გლეხები გადიქცენ თავისუფალ მოქალაქეებათ, მაგრამ მათ მიწები ჩამოერთვათ. მიწა დაისაკუთრეს ლორდებმა, რომლებიც მას გლეხებს იჯარით აძლევდენ. მოიჯარადრე გლეხებს სახელათ დაერქვათ იომენები.

ვაჭრობა და მრეწველობა თანდათან ვითარდებოდა და ბურჟუაზიის გავლენა თანდათან ძლიერდებოდა. თუ წინეთ პარლამენტში ლორდები ბატონობდენ, შემდეგ და შემდეგ პარლამენტი ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელში და ამით პარლამენტი ორ ნაწილათ გაიყო, ანუ ორ პალატათ: ერთი პალატა დაისაკუთრეს ლორდებმა, მეორე ხალხის წარმომადგენლებმა ანუ დეპუტატებმა. რაც დრო გადიოდა, დეპუტატების პალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის გავლენა და მნიშვნელობა ინგლისში თანდათან იზრდებოდა. ინგლისის მეფეებს პარლამენტი დიდათ არაფრათ ეპიტნავებოდათ, მაგრამ მისი გაუქმებისაც ეშინოდათ: ხალხი აჯანყდება და სახელმწიფოს მართვა უპარლამენტოთ გაგვიჭირდებაო. მეჩვიდმეტე საუკუნეში ტახტზედ ავიდა კარლოს I, რომელსაც პარლამენტი და ხალხის მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა გამგეობაში ჭირივით ეჯავრებოდა. მეფემ მოინდომა პარლამენტის გაუქმება და ამ გვარათ დაიწყო ბრძოლა მეფესა და პარლამენტს შორის. პარლამენტი ორ ნაწილათ გაიყო: თავადები ანუ ლორდები მეფეს მიემხრენ, ბურჟუაზია კი მეფის წინააღმდეგ წავიდა. მთელი ინგლისი ორ ბანაკათ გაიყო. კარლოს I შეუდგა ჯარის შეგროვებას, რომ თავისი მოწინააღმდეგენი სრულებით გაენადგურებია. ინგლისის ბურჟუაზია და პარლამენტარული წყობილება გადაარჩინა დეპუტატმა ოლივერ კრომველმა. პარლამენტმა კრომველი დანიშნა ჯარის უფროსათ. კრომველმა დასცვალა ჯარში ძველი უფროსები, მიიწვია შეგნებული და ქვეყნისათვის თავდადებული პირები და ნელა-ნელა ჯარი განაახლა და გაარევოლუციონერა. 1645 წელს მოხდა შეტაკება მეფის ჯარსა და პარლამენტის ჯარს შორის. კრომველმა გაიმარჯვა, მეფე დამარცხდა. მეფე ტყვეთ შეიპყრეს და ქვედა პალატამ მოითხოვა: მეფე უნდა გავასამართლოთ, როგორც სამშობლოს მოღალატეო. ზედა პალატამ უარი განაცხადა: მეფის გასამართლება პარლამენტის უფლებას არ შეადგენსო. მაშინ ქვედა პალატამ გააუქმა ზედა პალატა, თავის თავი გამოაცხადა ინგლისის პარლამენტათ და შეპყრობილი მეფე სამართალში მისცა, როგორც სამშობლოს მოღალატე და თვისი ხალხის სისხლის მღვრელი. 1649 წელს მეფე კარლოს I სიკვდილით დასაჯეს; პარლამენტმა გააუქმა სამეფო ტახტი და გამოაცხადა ინგლისი რესპუბლიკათ. ამის შემდეგ ნამდვილი მმართველი ინგლისის სახელმწიფოსი იყო კრომველი. მას შეეძლო მეფეთ გამხდარიყო, პარლამენტმა კიდეც მისცა ამგვარი წინადადება, მაგრამ კრომველმა უარი განაცხადა.

კრომველის სიკვდილის შემდეგ ინგლისში ისევ არეულობა დაიწყო. ამ არეულობას შედეგათ ის მოჰყვა, რომ ლორდების პალატა ისევ დაარსდა. ლორდებმა მოითხოვეს რესპუბლიკის გაუქმება და დასჯილი მეფის შვილის კარლოს სტიუარტის ტახტზედ აყვანა. 1660 წელს ის ტახტზედ ავიდა კარლოს II-ს სახელით. მეფესა და პარლამენტს შორის ისევ ბრძოლა გაიმართა და ამ ბრძოლის დროს პარლამენტმა შეიმუშავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგრეთ წოდებული ,,ღაბეოს-კორპუსი'', რომელიც დღესაც უცვლელათ არსებობს ინგლისში ამ კანონის ძალით ყოველ დაპატიმრებულს ოც და ოთხი საათის განმავლობაში უნდა შეატყობინონ, თუ რისთვის დააპატიმრეს და ოცდაოთხი საათისავე განმავლობაში უნდა წააყენონ ის სამსაჯულოს წინაშე. რუსეთში კი დღეს სამ-სამი წლობით სხედან ციხეებში ისეთი პირები, რომლებსაც არათუ არ ასამართლებენ ჯერ, არც კი ატყობინებენ მიზეზებს მათის დაპატიმრებისას მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს პარლამენტმა სრულებით გაიმარჯვა და მეფის ნება თავის ნებას დაუმორჩილა ეს გამარჯვება გამოიხატა „ინგლისის ხალხის უფლებათა ბილის (კანონის) გამოცემით. ამ ბილით მეფე ვერასფერს ვერ გააკეთებდა პარლამენტის ნებადაურთველათ და ამ გვარათ მეფისა და იმისი მოხელეების თვითნებობას ბოლო ეღებოდა.

საარჩევნო და სადეპუტატო უფლებისათვის საჭირო იყო ქონება. ამიტომ ამ უფლებებით სარგებლობდენ უფრო მდიდრები. მუშათა რიცხვი ინგლისში დღითი-დღე მატულობდა და საპარლამენტო უფლებას კი მუშები მოკლებულნი იყვენ. მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში საარჩევნო უფლებანი ინგლისში ნელა-ნელა ფართოვდებოდა, რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო მინისტრმა გლადსტონმა. დღეს თუმცა ინგლისში საყოველთაო საარჩევნო უფლება არ არსებობს და ცენზი მაინც საჭიროა, მაგრამ ეს ცენზი შედარებით მცირეა და სოფლისა და ქალაქის მუშათა უმრავლესობა ამ უფლებით სარგებლობს. დღეს ინგლისის მუშებს პარლამენტში თავისი საკუთარი წარმომადგენლები ჰყავთ.

დღევანდელ ინგლისის წყობილებას ეწოდება წარმომადგენლობითი მმართველობა, რადგანაც სახელმწიფოს საქმეებს განაგებენ ხალხის წარმომადგენლები. ინგლისში არის მეფე, სამინისტრო და პარლამენტი. მეფე და მინისტრები წარმოადგენენ აღმასრულებელ ძალას, პარლამენტია საკანონმდებლო ორგანო. რა უფლებით არის ყოველი ამათგანი აღჭურვილი, ან რა დამოკიდებულებაა მათ შორის,—ამას ჩვენ შემდეგ წერილში განვიხილავთ.

ივ. გომართელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანქანა მეფეა

და

შრომა—ფული.

ლანკაშირი აძლევს ინგლის დიდ სიმდიდრეს. ეს ქვეყანა მიკრულია იმ მაზრებზე, რომელნიც შუაგულ ინგლისს შეადგენენ. ბამბის მრეწველობის წყალობით ლანკაშირში ძლიერ ბევრი ქალაქები გაშენდა. მანქანებს ათასობით გაუდით აქაიქ ხმაურობა. გასვრილ და ტალახიან ბამბას აქცევენ ქსოვილათ. უმთავრესი ქალაქის ოლდენის ქარხნებში ტრიალებს თორმეტი მილი ნი თითის ტარი, ეს მილიონ ნახევარზე მეტს შეადგენს, ვიდროე მთელს რუსეთში. ლანკაშირის სართავ ქარხნებში მუშავობს მუდმივ 416000 მუშა. ამ რიცხვს უნდა მიუმატოთ კიდე 122 ათასი მემანქანე და ფეჩების ზედამხედვლები, 53 ათასი მღებარი, რამოდენიმე ათი ათასი დურგალი, ყალიბების ჩამომსხმელი, ხურო და სხვები, რომელნიც ქარხნის შეკეთების და მანქანების გასასწორებლათ არიან დაყენებულნი. რკინის კაცსა სცივა და სითბოს საშოვნელათ მიწის სიღრმეში განუწყვეტლივ მუშაობს სამოცდა ხუთი ათასი მემაღაროე და თხუთმეტი ათასი მტვირთავი ქვა-ნახშირით ტვირთავს ვაგონებს. ერთი სიტყვით, მთელი ლანკაშირის მცხოვრებნი, თითქმის სამი მილიონი სულ ბამბის მრეწველობით ცხოვრობს.

ამ მრეწველობამ დაიმორჩილა მთლათ ეს ქვეყანა და უწინდელი, ბუნებით მშვენიერი, მწვანე და ლამაზი ლანკაშირი გადაიქცა „კვამლის ქვეყნათ“. ახლა მგზავრს მოუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს მოგზაურობა, სანამ ნახავს სადმე მწვანე ბალახს. ყველგან ისმის მანქანების ხმაურობა, ყოველ მხრიდან მოსჩანს ამართული საკვამლეები, ქვის შენობები, მდინარეები სიბინძურით სავსე. აი რას გვიამბობს იქაური მკვიდრი მუშა. ჩვენ, ქალაქის მცხოვრებლებმა, არ ვიცით რა არის ჩიტები, ყვავილები. ჩვენ შვილებს არასოდეს არ უნახავთ მწვანე მდელოები და ყანები. ჩვენებს ჰგონიათ, რომ დედამიწის ზურგზე მარტო ქარხნები აღმოცენდება. ოცდაათ წლამდის ვცხოვრობდი ჩემ ქალაქში—არასოდეს არსად არ წავსულვარ, მაგრამ ბოლოს მომიხდა ერთ სოფელში წასვლა. მე ვსეირნობდი და პირველათ ჩემ სიცოცხლეში ვტკბებოდი ნამდვილი სურნელოვანი ყვავილებით, შევცქეროდი სიამოვნებით მწვანე ბალახს და წმინდა ლაჟვარდ ცას. ვეკითხებოდი ყველას ყვავილების და ჩიტების სახელს. ეს მე ხომ ბავშობიდან უნდა მცოდნოდა. ვცდილობდი გამერჩია ჩიტები მათი სიმღერით—და ვფიქრობდი, რომ რაღაც საოცარ ქვეყანაში ვარ. მე თითქოს ახლად დავიბადე, ახლად მოველ ამ ქვეყნათ, უწინ კი მეგონა ციხეში ვყოფილვარ დამწყვდეული. როდესაც ხელ-ახლად დავბრუნდი ჩემს ქალაქში—მისმა სიმახინჯემ გამაოცა. მძიმე, მოწამლულმა ჰაერმა—უცებ თავი ამატკინა. როდესაც ქუჩაში გაველ, კვამლმა თვალები ამიხვია. ყოველისფრის ერთგვაროვნობამ გამაოცა—ეს შედეგი იყო იმისი, რაცა ვნახე. ვიფიქრე, სჯობს სიკეთილი, ვიდრე აქ დარჩენა. სასოწარკვეთილებით ვიგონებდი იქაურ მეგობრებს, ნაცნობებს, ჩემს ძმებს და დებს, რომელნიც გარემოებამ ააძულა იქ ეცხოვრათ. ჩემი ცოლი, რომელსაც უწინ არ აკვირვებდა ჩვენი მდგომარეობა, ახლა გრძნობდა რაღაც უსიამოვნებას ამ ქალაქში. ჩვენი შვილები, სამი წლის ვაჟი და ოთხი წლის გოგო სულ გაიძახოდენ: დავბრუნდეთ, იქ მწვანე ბალახია, ზღვაა,—აქ არ ვარგა".

უწინდელ დროში მდიდარი მალავდა ფულს მიწაში, სკივრში, ათ კლიტულ ქვეშ. ახლანდელი მდიდარი სულ სხვანაირად ხმარობს თავის სიმდიდრეს. მას არა აქვს სკივრები ოქროთი სავსე, ფული მის ხელში უბრალოთ არა რჩება. ის ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა აწარმოოს თავისი ფული და აიღოს სარგებელი. მდიდარი ყიდულობს საქონელს და მეტ ფასათ ჰყიდის; ის ხსნის ქარხანას, რადგან იცის კარგათ, რომ ქარხანა შემოსავალს ბლომათ მოუტანს. ან კიდევ თავის ფულს აძლევს სხვა ვისმეს დიდი სარგებლით. ერთი სიტყვით ახლანდელი დროის მდიდარი ცდილობს მისი ფულები არ დარჩეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუყენებლათ და სხვა და სხვა ზომებით ამ ფულს ერთი ათად ხდის აგრეთ წოდებულ „კაპიტალათ“. ერთის კაპიტალი—ეს მისი მანქანებია, მეორესი—მაღაროები, მესამესი—საქონელშია, მეოთხესი კი ფულშია, რომელიც გასესხებული აქვს. როგორიც უნდა იყოს კაპიტალი, მას აქვს ერთი მუდმივი მნიშვნელობა: ის აძლევს პატრონს სარგებელს, პატრონი კი თვითონ არავითარ მონაწილეობას არ იღებს მუშაობაში და თავის სიმდიდრის შეძენაში. კაპიტალისტი არის ის პირი, რომელიც იძლევა მარტო სამუშევარს, ის ქირაობს მუშებს. ეს უკანასკნელნი აწარმოებენ საქმეს—კაპიტალისტი კი იღებს სარგებელს. მერე აი როგორ სარგებლობს კაპიტალისტი ახალი წარმოებით: როგორც ოქროს მაძებარი ეძებს ოქროს, ისე დაუყოვნებლივ კაპიტალისტი დაეძებს ახალს საქმეებს. ის აშენებს ფაბრიკებს და ქარხნებს, ის ცდილობს მიეკედლოს ყველა ახალ დაწყებულ საქმეს, მთელ ქვეყანას დაივლის, რომ აღმოაჩინოს ახალ-ახალი განძები. ყველა ქვეყნების კაპიტალისტები იღებენ მონაწილეობას რუსეთის დ კავკასიის მრეწველობაში: გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, ბელგიელები, ამერიკელები. იგივე კაპიტალისტები აარსებენ საზოგადოებებს, რომ გაგზავნონ ექსპედიციები სხვა და სხა ქვეყნებში, ხშირათ შორეულ ჩრდილოეთში, ან აფრიკაში, იმ მიზნით, რომ ეგება რამე სასარგებლო აღმოაჩინონ და მათი ფულები ერთი ორათ იქცეს. ახლანდელი კაპიტალისტისათვის არ არსებობს არც მანძილი, არც არასფერი უფასო და უვარგისი. ცოდნის და ხერხის დახმარებით ის ისეთ საგნებს გადააკეთებს, რომელნიც პირველი დანახვაზე სრულიად უვარგისათ მიგაჩნიათ. მაგალითად: დახეული, დაგლეჯილი ტყავი ქარხნებში გადაკეთდება მშვენიერ სავარცხლებათ, ღილებათ და დანების ტარათ. ბამბის კაკლიდან, რომელიც არ იცოდენ უწინდელ დროში როგორ მოეხმარათ, კაპიტალისტი ახლა აკეთებს სანათ ზეთს, გამონაწურ კაკლებს კი პირუტყვის საჭმელათ ხმაროობს. ჰაერითაც სარგებლობს კაპიტალისტი, მაგრამ ისე კი არა, როგორც ჩვენ. ისეთი ქარხნები არის, სადაც ჰაერი სითხეთ გადაკეთდება. თხელი ჰაერი ძლიერ საჭიროა, როდესაც წყლის გაყინვა ან გაცივება უნდათ. ამ ბოლო დროს ქარხნებში ჰაერიდან აზოტის ამოღებაც ისწავლეს. ამ აზოტს ყანების სასუქათ ხმაროობენ.

კაპიტალისტი თითქოს „სუნით“ გრძნობს, სად რა გამოდგება. საზღვარ გარეთ კაპიტალისტები აარსებენ დიდ გაზეთებს და თეატრებს ისე, როგორც ქარხნებს. ამ საქმეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი ხარჯავენ დიდ ფულებს. ამერიკელი გაზეთის შემოსავალი ერთ წელიწადში უდრის ორ მილიონ მანეთს. გაზეთი „ტაიმსი“ მოთავსებულია რამოდენიმე ვეებერთელა სახლში და საკუთრივ ამ გაზეთისათვის მუშაობს რამოდენიმე ქარხანა. ამ ქარხნებში მზადდება საუკეთესო მსწრაფლათ მბეჭდავი მანქანები—ეს მანქანები თვითოეული ერთ საათში ბეჭდავს ოცდაათ ათას გაზეთს. ამ ქარხნებში მზადდება ასოები, საღებავი წამალი, ქაღალდი.

კაპიტალისტებს დიდი ასპარეზი უძევთ წინ, სადაც თავის გამოჩენა შეუძლიათ მაგრამ მაინც ვერ ახერხებენ, რომ მეგობრულ მოთავსდენ და თვითოული თავის საქმეს გაუძღვეს. არა, ერთ და იგივე საქმეს ჰკიდებენ ხელს ბევრი კაპიტალისტები ერთად; ამიტომ რასაკვირველია, თვითოული მათგანი ცდილობს აჯობოს თავის მოცილეს და ამითი მარტო თავის ნაწარმოებით გაავსოს ბაზარი და არი ერთი განუწყვეტლივი ბრძოლა ერთ და იმავე მრეწველობის დარგებთა შორის. ამ ბრძოლას ეძახიან კონკურენციას. გაზეთები სავსე არიან ათასგვარ განცხადებებით; გაზეთების მეთაურებს ამ განცხადებებიდან დიდი მოგება აქვთ. ამერიკის მრეწველობა და ვაჭრობა ამგვარ განცხადებებზე ყოველ დღე მილიონ ნახევარზე მეტს ფულს ხარჯავს. ამ განცხადებებში ყველა აქებს თავის საქონელს. მარტო ამ ზომებით არა ცდილობენ კაპიტალისტები გაავრცელონ თავისი საქონელი, არა, იგინი ბეჭდავენ ვეებერთელა აფიშებს, ფერად და აჭრელებულ ქაღალდებზე, რომ მიიზიდონ ხალხის ყურადღება. დიდ ქალაქებში ასეთი „რეკლამები“ გაკრული არის კედლებზე, ღობეებზე, ტრამვაის ვაგონებზე. ასეთი რეკლამები კიდევაც დადიან ქუჩებში. ადამიანს ჩამოაცობენ ამ განცხადებებს და ასე მორთული დადის მთელი დღე. ღამე ამ რეკლამებს ელექტრონით განათებულს ხედავს მთელი ქალაქი. ასეთმა ბრძოლამ, რომელიც არსებობს მრეწველთა შორის, ადამიანის სახესაც დაასვა თავისი ბეჭედი. დააკვირდით დიდ ქალაქების ქუჩებში გამვლელ-გამომვლელ ხალხს. მათ სახეზე რაღაც სისასტიკე, სიხარბე გამოიხატება; ხალხი ცდილობს დაარღვიოს ის, რაც სხვისი ხელით ანაშენია. ყველას უნდა პირველობა.

როგორც ზღვაში დიდი თევზები ლამობენ პატარების გადაყლაპვას, ისე ცხოვრებაში ძლიერ კაპიტალისტებს უნდათ თავიანთ კლანჭებში ჩაიგდონ პატარები. ვისაც მეტი ფული აქვს, ყოველთვის ის უფრო უკეთესათ მოაწყობს თავის საქმეს და საქონლის დამუშავება ამის გამო იმათ უფრო ია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფათ უჯდებათ, ამ საქონელს ის უფრო ნაკლებ ფასათ ჰყიდის და რასაკვირველია იაფ საქონელს უფრო მეტი გასავალი აქვს, და აი ეს საქონელი სდევნის და უსპობს ბაზარს სხვა საქონელს, პატარა ქარხნების ნაწარმოებს. რადგან ეს უკანასკნელი საქონელი უფრო ძვირათ იყიდება. დიდი კაპიტალისტები არ ზოგავენ ფულს სხვა და სხვა ახალ შემოღებულ მანქანების შესაძენათ, წვრილ მრეწველებს არ შეუძლიათ აჰყვენ იმათ და ამიტომაც იღუპებიან ამ ბრძოლაში. ეს ისეთივე სურათია, რომელიც ჩვენ ვნახეთ მანქანების შემოღების დროს, როდესაც უმალ გაქრა სახლში მომუშავე ხელოსანი.

დიდი ფაბრიკების აწერილობა სწორეთ ზღაპარს მოგაგონებთ—რაღაც ვეებერთელა და უზარმაზარი რამ არის ახლანდელი ქარხნები. ასეთი ქარხნები ბევრია საზღვარ-გარეთ, მეტადრე ამერიკაში.

ფოლადის ჩამომსხმელს და რკინის ქარხანას კრუპპისას ესსენში (გერმანიაში) აქვს ექვსი ათასი სხვა და სხვა მანქანა და, ორმოცდა ხუთი ათასი მუშა და მოსამსახურე. ამათი ოჯახებიც რომ მივათვალოთ გამოვა ამ პატარა ქალაქში—ესსენში ას ორმოცდა ათი ათასი კაცი მცხოვრებელი—ყველანი ასე თუ ისე დამოკიდებულნი არიან ამ ქარხანასთან. ამ ქარხანის მიწა უდრის ოთხას ორმოცდა ათ დესიატინას. ამ ქარხანას აქვს თავისი საკუთარი რკინის გზის შტო, ორმოცი ლოკომოტივი და ათას-სამასი ვაგონი. ამ ქარხნის საკუთრებას შეადგენს შავი ქვის მაღაროები და რკინის მადანი ისპანიაში. ამ მადნეულობის გადმოსატანათ გერმანიაში მას აქვს საკუთარი გემები.

მსოფლიო მრეწველობაში პირველი ადგილი უჭირავს კრუპპის ქარხანას.

ასეთივე უზარმაზარს რასმეს ვხედავთ ვაჭრობაშიაც. ამ უკანასკნელ დროში დიდ ქალაქებში იხსნება ვეებერთელა მაღაზიები, რომელნიც მოთავსებულნი არიან მრავალ სართულიან სახლებში. ყოველ მყიდველს შეუძლია ასეთ მაღაზიაში იყიდოს ყოველისფერი, რაც კი სურს ღირებულ კაპეიკიდან ას თუმნამდის.

ეს მაღაზიები ყოველისფერს პირდაპირ მექარხნეებიდან ყიდულობენ და რადგანაც ბევრ საქონელს ერთათ იღებენ, უფრო ნაკლებ ფასებში გამოაქვთ. ამიტომაც დიდი მაღაზია უფრო იაფათ ჰყიდის ყოველისფერს, ვიდრე პატარა.

ა. ფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად. ულონიერესი და უდიდესი მაგოტი სამი ფუტის სიმაღლეა, გაცალკევებით უჭირავს თავი, უფრო შორს უდგება ხროვას.

მეთერთმეტე გვარი.

პავიანები, Cynocephalus.

ჯერ კიდევ არისტოტელმა დაარქვა პავიანებს ძაღლთავა მაიმუნები. მართლაც და პავიანს თავი არამცთუ ადამიანისას მიუგავს, ძაღლის თავთანაც კი ცოდოა შევადაროთ. მთელი მისი გარეგნობა უფრო შესაზარ მტაცებელ მხეცს გვაგონებს. ტანათ არის დიდი, ჯმუხი და ჩამჯდარი, ძვალ ღონიერი, უხეში, ულაზათო, ძაღლივით ოთხზე მოსიარულე, წითელ დაკორძებულ ტიტველა დუმებით, უშნო კუდით და დიდროხი ყვრიმლის თალიებით. ამ გარეგნობასთან საკმაოა ნახოთ მისი ურცხვი მიხვრა-მოხვრა და სალახანური სიარული, რომ სრულებით შეგეზიზღოთ იგი. ზნეობრივ პავიანები სრულებით დაცემულები არიან. მათს ხასიათში ვერ ჰპოვებთ ვერავითარ კეთილ საქციელს, პატიოსნებას, ადამიანურ ღირსებას. პავიანების ჭკუა სულ მთლათ ემორჩილება გულის წადილს, ვნებათა ღელვას. მთელ მაიმუნთა რაზმში ამათზე ცბიერს, გაიძვერას, ანჩხლს და წუწკს ცხოველს ვერც კი შეხვდებით.

პავიანებს უფრო დედამიწაზედ ეხერხებათ ცხოვრება, ეტანებიან მაღალ, მთიან კლდეებს, თუმცა კი ზოგიერთი მათი მსგავსი ხეებზედაც სცხოვრობს, ასე რომ ტყეებშიაც შეხვდებით.

შეიტლინი საშინელის ზიზღით იხსენიებს პავიანებს და ბოლოს დაასკვნის: „რა იქნებოდა, რომ ძაღლის თავის მსგავსებასთან, ძაღლის ზნე ხასიათიდანაც დაჰყოლოდათ რამეო“.

ბრემი კი ჩვეულებისამებრ მაინც ესარჩლება პავიანებს: „არ შეიძლება ამდენ სისაძაგლესთან კეთილი რამეც არ სჭირდეთო - მაგალითად-უყვართ შვილებიო“ და სხვ...

ამ მაიმუნების საქმელია: ხილეულობა, მწვანილი და სხვა ბოსტნეულობა, მაგრამ ძრიელ ანადგურებენ ფრინველთ და მათ კვერცხებს, ნადირობენ წვრილფეხა ცხოველებზე და ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასინჯეთ ვით მტაცებელი მხეცი სდევნიან წვრილ ანტილოპებს და გარეულ თხებს.

პავიანთა გვარში ცნობილნი არიან უფრო შემდეგი მსგავსნი:

1 **შავი** ანუ **ქოჩორა პავიანი** Cynopithecus niger. ამ მაიმუნის შესახებ ჯერაც კამათია მეცნიერებში — ზოგი მათ პავიანებში სთვლის, ზოგი კი უფრო მაკაკებს ამსგავსებს. ზოოლოგიურ ბაღებში ძრიელ ხშირათ ზის ხოლმე ჩაფიქრებული, თითქოს იმ მოსაზრებაშია: რაგვარი ახალი ცელქობა ჩავიდინოო.

სამშობლო შავი პავიანისა კუნძული ცელებსია; ევროპაში დიდი ფასი აქვს, რადგან სცენისთვის სათამაშოთ ვარგა — ჯამბაზობას ადვილად სწავლობს.

ბაბუინი.

2. **ბაბუინი** Cynocephalus babuin (იხ. სურათი) სცხოვრობს აფრიკის შუაგულ ქვეყნებში; აგრეთვე ხშირად შეხვდებით აბაშეთში, კორდოფანში და სხვ. გარეგნობით, კადნიერობით და ურცხვი სიარულით ბაბუინი ძრიელ ჰგავს პავიანებს, მაგრამ ცოტა არ იყოს ხასიათით მაინც ამათ ყველას სჯობს. ადამიანს მალე ეჩვევა და ძრიელ ადვილათაც სწავლობს სხვა და სხვა ნაირ ჯამბაზობას. ხშირად ძრიელ ერთგულიც არის თავის პატრონისა, მეტადრე დედალი ბაბუინი უფრო გულკეთილია. ჩვენში რომ საჩვენებლათ ქუჩა ქუჩა მაიმუნები დაჰყავთ სპარსელებს, ეგ არის ბაბუინი. ახალგაზდობისას მოჰყავთ აბაშეთიდან და მერე წვრთნიან. თუ რომ პატრონი ადამიანურად ექცევა, ბაბუინიც სიბერემდე კარგათ იტანს ტყვეობას, თუ არა და — საშინელი ანჩხლი ხდება.

3. **ხახმა**, C. porcarius. სცხოვრობს სამხრეთ აფრიკაში.

4. **სფინქსი**, C. Sphinx. სცხოვრობს დასავლეთ აფრიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს უკანასკნელი ორი მაიმუნი ცხოვრებით, ხასიათით და გარეგნობით ძრიელ ჰგავს ბაბუინს.

5. **ჰამადრილი** ანუ პავიანი ჩაფხუტიანი Cynocephalus hamadrias. ამ მაიმუნს უწინ ეგვიპტელები აღმერთებდნენ. დღესაც შეხვდებით იეროგლიფებს—ქანდაკებას, სადაც ჰამადრილი (მამალი) თავის ჩაფხუტის მაგვარ ფაფარით ტრაპეზზე ზის და ხალხი კი თაყვანსა სცემს. ანუზის მსაჯულად, სასწორს უჩვენებს და ცოდო-მადლს სწონავს. ამ გვარი თაყვანისცემა უეჭველია შიშით არის გამოწვეული, ისე როგორც მაგალითად შიშის გამო აღმერთებდნენ ნილოსის ნიანგს. ჯერ იმ დროსაც იყო ისეთი ხალხი, რომელსაც თავისი ღმერთი კი არ უყვარდათ, ეშინოდათ. დღეს ჰამადრილს ვერც კი შეხვდებით ეგვიპტეს მიდამოებში და როგორც ამბობენ ალექსანდრიაში არაბეთიდან მოჰყავთო, მაგრამ აბაშეთის და ნუბიას კლდეები სავსეა ამ მაიმუნებით—მთელი ხროვა 100—150 ერთად დახეტიალობს ტყეებში, უფრო კი მაღალი კლდიანი მთა-ადგილები უყვარს მდინარე წყლის სიახლოვეს. რიუპელის სიტყვით ადამიანისთვის ყველაზე საშიშო მაიმუნი ჰამადრილია. შიმპერი გვარწმუნებს, რომ ზოგჯერ ყოვლად უმიზეზოდ, თუ კი ჰამადრილი კაცს მოერია აღარ ინდობს მას, ჰგლეჯს და ჰკლავს. ფიჩხის მოსატანათ ტყეში წასულ გოგოებსაც ხშირად დასცემია და მოუკლავს.

6. **ჯელადა**. C. gelada სცხოვრობს ჰამადრილას მეზობლად აბაშეთში. შიმპერი, რომელიც 30 წ. მეტი აბაშეთში სცხოვრობდა, გვარწმუნებს, რომ ჯელადა კარგ ზორბა ვაჟკაცის ოდენა იზდებაო. ამასაც დიდი ფაფარი ეზდება, მაგრამ ადვილი გასარჩევია ჰამადრილისაგან. მეტადრე დუმების კორძებით, რომლებიც ჯელადას სულ პატარად აჩნევია, მოშავო ნაცრის ფერად.

7. **მორმონი**, C. mor"on. როგორც გვერეცა მთელს მაიმუნებში უულამაზესი და მშვენიერია, ისეც მორმონს სიმახინჯით ვერც ერთი მაიმუნი ვერ შეედრება. რამდენათაც გარეგნობითაა საძაგელი, იმდენათვე მისი სულიერი მხარე სრულს ჰარმონიას შეადგენს მის შესაზარ სახის მეტყველებასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრობს აფრიკაში. ადგილობრივ ხალხს თურმე მორმონ ისა უფრო ეშინიანთ, ვიდრე საშინელი ლიომისა.

300 წელიწადზე მეტია რაც იგი ევროპაში მოჰყავთ (სასაძაგლის ნიმუშათ თუ).

8. **დრილი**, C. leucophaeus. მონათესავეა მორმონისა, უფრო მომცროა. ორივენი გამრავლებულნი არიან. გვინეის ნაპირებზე. ცხოვრობენ ხროვა-ხროვად ტყიან მთებში, ზოგი კლდეებზე, ზოგიც ხეებზე. ხშირად აოხრებენ ახლო-მახლო სოფლებს, მეტადრე მაშინ, როცა მამაკაცებს გაიგულებენ. ამბობენ, რომ ეს მაიმუნები საშინლად სტანჯამენ დედაკაცებს და ბავშვებსაო, ამიტომაც ხშირად ამხედრდება ხოლმე კარგად შეიარაღებული მთელი სოფელი ამ მაიმუნების გასაწყვეტად.

9. **წვერიანი მაიმუნი**. C. silenus. ძრიელ ლამაზი მაიმუნია და ზოგი მეცნიერიც უფრო მაკაკებს უნათესავებს. სცხოვრობს **მალაბარის** კუნძულზე. ადგილობრივი ინდუსები უძახიან: ნიდბანდარ, შიაბანდარ და სხვ. ეს მაიმუნი განირჩევა ხშირის წვერით, რომლითაც შემოსილია ისე, თოგორც ვაჟკაცი (ლოყების გარშემო საფეთქლიდან საფეთქლამდე).

აქ გათავდა ძველ ქვეყნებთა უმთავრესი მაიმუნების აღწერა, რომელნიც ეკუთვნიან ვიწროცხვირა მაიმუნებს და თან შეადგენენ პირველ ოჯახს.

მაიმუნთა მეორე ოჯახი.

ცხვირგანიერი, კუდწმახნია

მაიმუნები ამერიკისა.

მეტად მშვენიერი და სანაქებოა საქართველოს ბუნება, ხოლო ამაზედ უფრო განთქმულნი არიან აზიის ცხელი ქვეყნები—აღმოსავლეთი დი სამხრეთი ინდოეთისა და მის ახლო მდებარე კუნძულები (ცეილონი, იავა და სხვ.). არც აბაშეთის შუაგული ჩამორჩება ამათ ბუნების სიმდიდრე—სიმშვენით, მაგ. მარებას და თაკაცის ხეობები და სხვა.

მაგრამ სამხრეთ ამერიკის ტროპიკული ბუნება სულ სხვაა. რაღაც საოცარია, შეუდარებელია! რაღაც ზღაპრული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანტასტიური რამ არის... აქ სიამოვნებით თავბრუ ესხმის ადამიანს, როდესაც შარავანდედით მრავალ-ფერადებად აჭრელებულ ბუნებას ხედავს და მითი მოხიბლულ ტკბება საუცხოვო სურათებით...

ვინ ყოფილა ისეთი ბედნიერი, რომ ამ ახალ ქვეყანაში უმოგზავრია, იმისთვის ყველაფერი ახალი ხილია — თუ გინდ ინდოეთ-აბაშეთის მშვენივრებაც ენახოს... აქ ფლორაც მეტად ტურფა, გასაშტერებელ სილამაზისაა და ფაუნა ხო რაღაც უცნაურია...

ამერიკამ მაიმუნებიც-კი თავისებური იცის. ესენი ბევრად ჩამორჩებიან თავიანთ მონათესავე აზიელ და აფრიკელ ჯიშს. ჯერ ჭკუით და ტანადობით ნაკლები არიან, გარეგნობითაც და ხასიათითაც ძრიელ განსხვავდებიან. უკუდო მაიმუნი სრულებით არ არი ამერიკაში. აგებულობით უფრო ტლანქი და უშნონი, მიხვრა-მოხვრაშიაც მეტად ზანტი და ზარმაცნი არიან. მთელ დღეობით დაღვრემილნი, გარჯაშიაც უთავბოლობას იჩენენ. ეს რასაკვირველია ყველაზე არ ითქმის ამათშიაც მოიპოებიან ყოველთვის ცელქნი და მხიარულნი; ამასთანავე უფრო მშვიდი ხასიათისანი არიან და არც ადამიანისთვის საშიშონი არიან.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავია ამათი კუდი! ეს ორგანო ამ მაიმუნებისთვის ნამდვილი მეხუთე ხელია. კუდის ბოლოს მუსკულები მაგარნი და საგანგებოდ მომარჯვებულნი აქვთ საწმახნავთ, საგრეხათ და საგნის დასაბღუჯათ. ამიტომაც ხელის ადგილას კუდის ხმარება უფროც ემარჯვებათ, მით უფრო რო ხელის ხმარება ისე არ შეუძლიათ, როგორც ჩვენ, რადგან იმათ ხელის თითს, ცერს არ შეუძლია თავის მეზობელი თითები ჩამოთვალოს.

გარდა ამისა კბილები 32 მაგიერ 36 უსხედთ; ყვრიმლის თალიები და შიშველი, დაკორძებული დუმები არასოდეს არა აქვთ. ცხვირი განიერი და ზომიერია; ცხვირ-პირიც არა აქვსთ დინგივით გამოშვერილი. ტანი თუმცა სხვა და სხვა ფერ ბალნით აქვთ შემოსილი, მაგრამ ისე სანაქებოდ ჭრელი და ლამაზები არ არიან, როგორც ზოგიერთა აზიის და აფრიკის მაიმუნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვირ განიერი მაიმუნები ყველანი სცხოვრობენ განსაკუთრებით სამხრეთ ამერიკაში. უფრო უყვართ განუვლელი ხშირი ტყეები, დაბურვილი ტევრები, მდინარით და ტბაგუბეებით წყალ-მდიდარი ადგილები. აქ მაიმუნები მთელ თავის სიცოცხლეს ხეებზე ატარებენ. თუ წყურვილმა დაატანა ძალა, მაშინაც-კი დედა-მიწას ფეხს არ აკარებენ—უსურვაზით და ლიანებით გაბმულ—გახლართულ ხის ტოტებზე გაუდგება გზას და სადაც იმარჯვებს, ხის ტოტს, წყალზედ დაშვერილს, კუდით ჩაეწმახნება, დაეკიდება, ჩასწვდება წყალს, დალევს და ისევ შეახტება ხის-ტოტს. ამ გვარათ თუნდ მთელი დღის სავალს შემოივლიან ხოლმე ტოტიდან ტოტზე გადასვლით, ხშირად ატეხილ, ხლართულ ტყეების წყალობით. აგერ სურათს დააკვირდით. შეკრებილან ახალგაზდა ლაზღანდარები და თავის გასართობად ალიგატორს (ნიანგს) მასხარათ იგდებენ. რა თქმა უნდა ამგვარი ხუმრობა ყოველთვის სასიამოვნოდ არ ჩაუვლით—ნიანგი ზოგჯერ იხელთებს ცელქ მაიმუნს და ჩაიგემრიელებს ტლანქ პირს.

ყველა ნაირი საჭმელი ამ მაიმუნებს ხეებზე აქვთ მზამზარეულად. ხეების ნორჩი ყლორტები, ფოთლები, მათი ხილი, მერე ობობა და ათას ნაირი სხვა მწერი. აგრეთვე ფრინველთა კვერცხები, მათი მართვნი და ამასაც დაუმატეთ გემრიელი თაფლი. ამიტომაც ძრიელ იშვიათად მოხდება, რომ ამერიკელ მეურნეს, პლანტატორს ზარალი რამ მიაყენონ. ამათ არ ეპიტნავებათ არც თითონ ადამიანი და არც მის ნათესებს საჭიროობენ.

ყოველთვის და ყველგან ამ მაიმუნებს ძრიელ სჭირდებათ თავიანთი შესანიშნავი კუდი. უკუდოთ თითქმის ვერც-კი იცოცხლებენ. ეს ორგანო ისე განვითარებული და მგრძნობიერი აქვთ, როგორც ჩვენ ხელის თითები.—რაგვარ მოქმედებაშიაც იყოს მაიმუნი, მისი კუდი ყოველთვის ჩაწმახნულია ხის რომელიმე ტოტზე, აგრეთვე როცა განცხრომაშია, ანუ სძინავს უიმასოდ არ შეუძლია რო კუდი რასმე არ მოსჭიდოს. უეჭველია ბუნებამ არ მოისურვა ყველაფრით დაესაჯა ეს ცხოველები და, თუ ჭკუის და ტვინის სიმახვილე—სიმ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირცხლე დააკლო, სამაგიეროთ მეხუთე ხელი (კუდი) უბოძა.

წითელკანიანი ადგილობრივი მკვიდრნი ამერიკისა უმთავრესად მაიმუნის ხორცით იკვებებიან და ამიტომაც ძრიელ თავგამოდებული ნადირობენ ამ ცხოველებზე მშვილდ-ისრით. თუმცა მაიმუნი ადვილად იშორებს ისარს, მაგრამ უბედურება ის არი, რო მონადირენი ისრის წვერს შხამავენ და თანაც აქდევებენ, ასე რო გამოღების დროს ისარს თავი მოემტვრევა ხოლმე და მოშხამული წვერი ტანში რჩება.—არც სწუნობენ ზოგიერთა კულტუროსანი მოგზავრნი მაიმუნებზე ნადირობას და მათი ხორცის წვადებს, ხოლო ბეწვეულებს მანდილოსნები სამკაულად ხმარობენ.

—

ცხვირგანიერი მაიმუნები (Platyrrhini) შეადგენენ ორს განყოფილებას: 1) კუდწმახნია მაიმუნები (Cebidae) და 2) კუდბეწვიანი მაიმუნები (Pithecidae).

კუდწმახნია მაიმუნებში უნდა გავიცნოთ ჯერ მათი **პირველი გვარი.**

ღრიალა მაიმუნები (Mycetes).

ღრიალა მაიმუნები სიდიდით კატას ძლივს აღემატებიან, კუდი-კი ძრიელ გრძელი აქვთ და საკვირველად მომარჯვებული საწმახნად და საბღაჯად. ხშირი ბალანი ნიკაპზე წვერივით უგრძელდებათ. მეტად შესანიშნავია ამათი შეუდარებელი **ღრიალი.**

ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ენის ქვეშ, ძირში ძვალმეტივით, ბუშტივით ამობერილი აქვთ ამ მაიმუნებს, და აი ეს საგანგებო აპარატი აძლევს ხმას იმ საშინელ ძალას, რომელიც ორი საათის სავალზედაც-კი ისმის. საშინელი ღრიალი თუ ყმუილი უფრო მზის ამოსვლისას და ჩასვლისას იციან — მთელი ხროვა სხედან ხის ტოტებზე და მართავენ შესაზარ კონცერტს. ლოტბარიც ისაა ვინც უხუცესია.

ამათ გვარიჩ წარმომადგენლად შეიძლება დავასახელოთ:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

ეროვნულდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ამირანი

გაზეთი ღირს:

ერთის წლით:			ნახევრის წლით:		
თფილისში.	6 მ.	50 კ.	თფილისში.	4 მ.	— კ.
საზღვარ-გარედ.	7 „		თფილისის გარედ	4 „	50 „
საზღვარ-გარედ	12 „	— „	საზღვარ-გარედ	6 „	— „

ერთის თვით:

თფილ ს'ში. — 75 კ. თფილის გარედ — 80 კ. საზღვარ-გარედ 1 მ. 50 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

ფოსტის ადრესი Тифлисъ, редакція газ. „АМИРАНИ“.

მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის

ჯეჯილზე

ი 413/1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

(მეთვრამეტე წელიწადი)

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილ ყმაწვილებისათვის. თითო წიგნში იქნება არა ნაკლებ ოთხამდე ფურცელი, ანუ 64 გვერდი.

ჟ უ რ ნ ა ლ ი „ ჯ ე ჯ ი ლ ი“

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ გაგზავნით 5 მ.
ნახევარი წლით . . 2 „ ცალკე ნომერი . . . . —40 კ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** ნილ. მღვდლიეფისას და წიგნის მაღაზიას „კოლხიდა“. **ბათუმში** წიგნის მაღაზიას „მეგობარი“, **ოზურგეთში** წიგ. მაღ. „იმედი“, დაბა **ხონში** მასწ. გ. ბოკერიას, **ახალსენაკში** წიგ. მაღ. „სინათლე“, **სამტრედიაში** გ. ფოცხვერიას, **ყვირილაში** წიგ. მაღ. ალ. გაჩეჩილაძეს, **ბაკოში** ქართ. თეატრში ი. თედეშვილს, **ჭიათურაში** ვ. მოსეშვილს.

თბილისში ხელის მოწერა მიიღება: წერა-კითხვის საზკანცელარიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში: არტილერიის ქუჩა, № 5, კადეტის კორპუსის გვერდით.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

„ჯეჯილის“ სრული 16 წლის გამოცემა (რომელიც შეადგენს 140 წიგნზე მეტს), ეღირება გაგზავნით სხვადასხვა ქალაქებში 30 მ. თბილისში სასწავლებლებს, რომელნიც რედაქციიდან თითონვე წააღებინებენ, დაეთმობათ 25 მ. ცალ ცალკე წლების „ჯეჯილები“ თითო წლისა ეღირება 2 მ.

რედ.-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა